ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 21 ივლისი, 2016 №171 (7097) ფასი: 50 თეთრი

## თურქეთი საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას გააძლიერებს?

გვ.2



რა ბედი ელის ფეთჰულა გიულენის საგანმანათლებლო ცენტრს საქართველოში

20 ივლისიდან

სამოთხიდან გაქცეულები

ბექა ქურხული

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# „მარგველაშვილი კვირიკაშვილს რესპუბლიკელების სასარგებლოდ გაურიგდა“

გვ.3



## გიგლა ბარამიძე: „მალე საქართველოში სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს დახურავენ“



## ირაკლი სესიაშვილი: „არ მინდა, პრეზიდენტის ინსტიტუტი ენჯეოს დაემსგავსოს“

გვ.2



„ქართული ოცნება“ ისევ უმრავლესობით მოვა“

## ვახტანგ რჩეულიშვილი: „სანამ მაია ციხეშია, ვერავინ ვერაფერს მიიღებს“

გვ.5





„გუკას ცოლი ორსულადაა, ჩვენ შვილიშვილი გაგვიჩნდება“

## კახა მიქაია: „ოცნებას“ სამეგრელოში ჯერ ისევ აქვს შანსი“

გვ.5



ვის წარადგენენ მაჟორიტარებად?

## ინტერპოლმა იგორ გიორგაძეზე ძებნა შეწყვიტა

გვ.4



უშიშროების ექს-მინისტრი საქართველოში ბრუნდება

## იგორ მოროზოვი: „საქართველოსთან ნებისმიერი საკითხის განხილვისთვის მზად ვართ“

გვ.7



## „შავ ზღვაზე რუსეთის სტრატეგიულ უპირატესობას ნატო არ დაუშვებს“

გვ.9



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირაკლი სესიაშვილი: „არ მინდა, პრეზიდენტის ინსტიტუტი ენჯეოს დაემსგავსოს“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი სესიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტის პოზიციებზე და საპარლამენტო არჩევნების მიმართ მოლოდინებზე საუბრობს.

***– ბატონო ირაკლი, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ვრცელი ინტერვიუ მისცა რუსთავი 2-ს, როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის გზავნილებს, მის აქცენტებს?***

– ეს უფრო დიალოგი იყო. რუსთავი 2 ნაციონალური მოძრაობის ნარატივით გამოვიდა, იმ პოზიციით, რომელსაც წლების განმავლობაში აფიქსირებდნენ. ვგულისხმობ იმ სიცრუის პოლიტიკას, რომელიც იღვრებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. რაც შეეხება ბატონი პრეზიდენტს, მიუხედავად ჩემი ძალიან დიდი პატივისცემისა, უნდა ვთქვა, რომ არ მინდა ენჯეოს პოზიციიდან გამოვიდეს. მე არ მინდა პრეზიდენტის ინსტიტუტი ენჯეოს დაემსგავსოს, რომელსაც პოლიტიკური პოზიცია არ გააჩნია. პრეზიდენტმა ბევრი ისაუბრა, მაგრამ მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პოზიცია არ დაუფიქსირებია.

***– პრეზიდენტს პოზიცია არ აქვს?***

– მეტიც, არასამთავრობო სექტორს სჩვევია, რომ არასდროს უნდა თქვას მოქმედ ხელისუფლებაზე კარგი, წარმატებულ ნაბიჯზე, რომ წარმატებულია. 12 წელი არასამთავრობო სექტორში ვმუშაობდი და ამ პოლიტიკის შესახებ კარგად ვიცი, მაგრამ მე ამ მოდის მიმდევარი არასდროს ვყოფილვარ. სწორედ აქედან გამომდინარე ვთქვი, რომ არ მინდა, პრეზიდენტის ინსტიტუტი ენჯეოს დაემსგავსოს.

***– რატომ გაქვთ ეს განცდა?***

– იმიტომ, რომ ის არ აფიქსირებს თავის პოზიციას. თუნდაც ხელისუფლების მიერ გატარებულ ძალიან სერიოზულ რეფორმაზე ის არ აკეთებს დადებით შეფასებას, ამას თითქოს ერიდება, ვერ ბედავს. მე ამაზე მწყდება ყველაზე მეტად გული და ამიტომ ვამახვილებ ამაზე ყურადღებას. პრეზიდენტი უნდა საუბრობდეს პრობლემებზეც, მაგრამ აუცილებელია წარმატებებზეც ისაუბროს და გაამახვილოს ყურადღება.

ეს არ მომწონს არა იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ეს ერთგვარ ნიჰილიზმს უწყობს ხელს.



***– პრეზიდენტის ადმინისტრაცია ხშირად ხაზს უსვამს და პრეზიდენტის განწყობაც ასეთია, რომ ის ყველას პრეზიდენტია და არა ერთი რომელიმე პარტიის, როგორც ეს წინა ხელისუფლების თუ პრეზიდენტის დროს იყო.***

– გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტი გახდა არა როგორც გიორგი მარგველაშვილი, არამედ, როგორც „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანდიდატი. გიორგი მარგველაშვილს, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტს, პასუხისმგებლობა აქვს ქვეყნის წინაშე და ეს გასაგებია. აქ საუბარია იმაზე, რომ მან, როგორც პრეზიდენტმა, ხელისუფლების, მთავრობის წარმატებას დაარქვას თავისი სახელი. წარმატებაზე თქვას, რომ წარმატებაა. მე სულაც არ გამოვრიცხავ კრიტიკას და არ ვამბობ, რომ მისი მხრიდან კრიტიკა არ უნდა იყოს. არ მომწონს, როდესაც პრეზიდენტი უფრო ხშირად ხვდება არასამთავრობო სექტორს, ოპოზიციურ პარტიებს, უფრო ხშირად გადის მათთან კონსულტაციებს, ვიდრე მმართველ ძალასთან.

***– თქვენც ხომ გხვდებათ?***

– ფორმალურად ხდება „ქართულ ოცნებასთან“ დიალოგის შეთავაზება. მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ვეტოს უფლებას იყენებს ან თავის უარყოფით პოზიციას აფიქსირებს ამა თუ იმ კანონპროექტთან დაკავშირებით, არანაირ კონსულტაციებს არ გადის უმრავლესობასთან. თუ მხოლოდ უმცირესობისა და ოპოზიციის პრეზიდენტია, ესეც უნდა ვიცოდეთ.

მსგავსი პოზიცია მისი მხრიდან პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან გაქცევას უფრო ჰგავს. პრეზიდენტის პრესსპიკერის დამრიგებლური ტონი, არა მგონია, ადეკვატური იყოს. ჩატაევის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის პრესსპიკერი გამოვიდა და განაცხადა: საიდუმლოების გაცემასთან დაკავშირებით ვურჩევო – დამრიგებლური ტონით. პრეზიდენტი თუ არ დამირეკავდა, ადმინისტრაციიდან ვინმეს დაერეკა ან პრესსამსახურიდან, ან უშიშროების მდივანს დაერეკა, მე ხომ ვარ უშიშროების საბჭოს წევრი, სანამ ასე მირჩევდა პრესსპიკერი. მით უფრო, „საიდუმლოების შესახებ კანონის“ ავტორი მე ვარ.

ეკითხათ ჩემთვის – რა იყო ამ განცხადების უკან, რა მიზანი მქონდა, როდესაც ამ განცხადებას ვაკეთებდი. იქნებ მქონდა არგუმენტები. თუ საუბარია იმაზე, რომ უფრო მეტი პოლიტიკური სტაბილურობა გვქონდეს, საჭიროა დიალოგი, მეტი კონსულტაციები პრეზიდენტთან. როდესაც პრეზიდენტი ამბობს, რომ ყველას პრეზიდენტია, კარგი იქნება, თუ ის „ყველაში“ უმრავლესობასაც მოიაზრებს.

პოლიტიკაში მკაფიო პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია. „ქართული ოცნება“ ოთხი წლის ვადით არის არჩეული ხელისუფლებაში, ის წარმოადგენს უმრავლესობას, ის იღებს გადაწყვეტილებებს და ამ გადაწყვეტილების რევიზირება კი არ უნდა მოხდეს ადმინისტრაციის, უმცირესობის თუ არასამთავრობო სექტორის შეხედულებისამებრ, არამედ მათ შორის პირველ რიგში კონსულტაციები უმრავლესობასთან უნდა გაიაროს.

პირადი მაგალითი შემიძლია დაგისახელოთ. როდესაც ბატონმა პრეზიდენტმა მოსმენების კანონს ვეტო დაადო, ჩვენთვის, ავტორებისთვის, არც კი უკითხავს, რა იდგა ამ კანონპროექტის უკან, რა ტიპის საფრთხეებია, რა მნიშვნელობა აქვს ამას, როგორია ტექნიკური ნაწილი და ა.შ. პრეზიდენტი ყველას შეხვდა, გარდა კანონპროექტის ავტორებისა.



„ქართული ოცნება“ ისევ უმრავლესობით მოვა“

***– ბატონო ირაკლი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები, ჩავარდნის მიუხედავად, პრეზიდენტმა მეორედ წარუდგინა პარლამენტს ერთი ცვლილებით – ანა დოლიძე ლევან ბოძაშვილმა ჩაანაცვლა, მაგრამ რიგგარეშე სესიის მოწვევა არ ხდება. საუბარია, რომ ამ კანდიდატებს პარლამენტი არ უმტკიცებს პრეზიდენტს. შეიძლება ეს იყოს მორიგი დაპირისპირების გამოვლენა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის?***

– როდესაც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოზეა საუბარი და როდესაც ეს გადაწყვეტილება უმრავლესობით მიიღება, ალბათ სასურველია, კანდიდატების წარდგენამდე მოხდეს დიალოგი. საბოლოო ჯამში, მხარი რომ არ დავუჭირეთ ამ კანდიდატებს თავის დროზე, ამით დაზიანდა სასამართლო სისტემა. თავიდანვე რომ დაეწყო დიალოგი, გნებავთ კონსულტაციები და მომხდარიყო ერთგვარი შეთანხმება, მაშინ სასამართლო სისტემა არ დაზიანდებოდა.

***– სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის შესახებ კანონპროექტის ჩავარდნის მიზეზი რა იყო?***

– მესამე ტალღასთან დაკავშირებით პოლიტიკურ ძალებს შორის რამდენიმე საკითხზე შეთანხმება ვერ მოხდა. ორი მოსმენით კანონპროექტი გასულია, ახლა ჩვენ ვცდილობთ, რომ ამ საკითხზე დამატებით გავიაროთ კონსულტაცია. პრეზიდენტის მხრიდან არ ყოფილა შეფასება, რომ სასამართლო სისტემის რეფორმის გზაზე წარმატებები გვაქვს. ოპოზიციაც კი ვერ ბედავს, რომ აქ გაგვაკრიტიკოს.

***– პრეზიდენტი ამბობს, რომ სასამართლო სისტემის რეფორმირების საკითხში მას მოკავშირე არც ხელისუფლებაში ჰყავს და არც – ოპოზიციაში.***

– მინდა, მჯეროდეს, მაგრამ სხვა შთაბეჭდილება მრჩება. მე ნამდვილად არ ვამბობ, რომ გიორგი მარგველაშვილი გამოკვეთილად რომელიმე პოზიციის ინტერესებს ატარებს, მაგრამ მმართველი პოლიტიკური ძალის გატარებულ რეფორმებს წარმატებებს, მიღწევებს რომ ვერ ხედავს, ეს ფაქტია.

***– 8 ოქტომბრის არჩევნების მიმართ თქვენი მოლოდინები როგორია?***

– იმერეთის მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენაზე ყველამ ნახა, თუ რამდენი ხალხი იყო მოსული. ეს ძალას გვმატებს. წარმატებებთან ერთად იყო შეცდომებიც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანა სწორი მიმართულებით წაიყვანა. ყველა გრძნობს, რომ ქვეყანაში არის თავისუფლება, დემოკრატია, მშვიდობა, უსაფრთხოება. ყოველთვის იქნება უკმაყოფილო ადამიანი, მაგრამ ეს არის მოტივაცია ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ხელისუფალისთვის, რომ მეტი გააკეთოს. ჩვენ ყველას, მათ შორის მეც, როგორც ამ ქვეყნის რიგით მოქალაქეს, მინდა მეტი, მაგრამ მთავარია, მოსახლეობამ სწორი დასკვნები და შეფასებები გააკეთოს, რა ჩავიბარეთ და რა შევძელით.

***– შეძლებთ ამომრჩევლის დარწმუნებას?***

– შევძლებთ. ასევე შევძლებთ ავუხსნათ ჩვენს მოქალაქეებს, რიგი მიმართულებების ჩავარდნის მიზეზები რა იყო.

***– რა იყო?***

– სუბიექტური და ობიექტური მიზეზები იყო, მაგრამ ეს არის ხელისუფლება, რომელიც ხალხს ემსახურება და არა – პირიქით, როგორც ეს აქამდე იყო.

***– „ქართული ოცნება“ ისევ მმართველი ძალა იქნება?***

– მე ამაში დარწმუნებული ვარ არა იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მინდა დარჩენა, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ამ ძალას შეუძლია ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და წინ წაყვანა სხვა პოლიტიკური ძალებისგან განსხვავებით, რომელთაც მხოლოდ რევანშის სურვილი და ძალაუფლების მოპოვება ამოძრავებთ.

# თურქეთი საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას გააძლიერებს?

## რა ბედი ელის ფეთჰულა გიულენის საგანმანათლებლო ცენტრს საქართველოში



**თურქეთში განათლების სამინისტრომ უკვე 15.000 თანამშრომელს შეუჩერა კონტრაქტი, 21.000 პედაგოგს ლიცენზია გაუუქმა, ხოლო უნივერსიტეტებში 1.500-ზე მეტ დეკანს მკაცრად უბრძანეს, გადადგომის თაობაზე განცხადება თავად დაეწერათ**

თურქეთი აძლიერებს საგარეოპოლიტიკურ ზეწოლას იმ ქვეყნებზე, სადაც პრეზიდენტ ერდოღანის მთავარი მოწინააღმდეგის, ოფიციალური ანკარის მიერ სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორად შერაცხული ფეთჰულა გიულენის პოზიციები ძლიერია.

მათ რიცხვში აღმოჩნდა საქართველოც, სადაც გიულენის მოძრაობა „ჰიზმეთი“ ანუ „მსახურება“ რამდენიმე კერძო სკოლასა და უნივერსიტეტს ფლობს.

15-16 ივლისის სისხლიანი ღამის შემდეგ, თურქეთის გენერალურმა კონსულმა ბათუმში იასინ თემიზქანმა პირდაპირ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, დახუროს გიულენის საგანმანათლებლო ქსელი, სადაც „ტერორისტებს ზრდიან“.

ამგვარი ხისტი, არადიპლომატიური განცხადების გასწორება, მოგვიანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მიწვეულმა თურქეთის ელჩმა ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ სცადა. მან ყველაფერი თარჯიმანს დააბრალა, თუმცა ელჩმაც გამოხატა შეშფოთება გულენის მოძრაობის მიერ სკოლების მართვის გამო.

ასეთ სკანდალურ ფონზე განხორციელდა 19 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ოფიციალური ვიზიტი ანკარაში, სადაც ის თურქეთის პრემიერს და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა.

ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორი, თურქოლოგი ემზარ მაკარაძე „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში არ გამორიცხავს, რომ თურქეთმა, შესაძლოა, კიდევ უფრო გააძლიეროს ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე და შეეცადოს, გიულენის ქსელს სერიოზული პრობლემები შეუქმნას:

– ამგვარი პოლიტიკით უნდა დღეს პრეზიდენტ ერდოღანს თავისი პოზიციების განმტკიცება, იმ შელახული მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელიც ქვეყანაში აქვს. ამიტომ გამორიცხული არაფერია. ზეწოლა იქნება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მარგველაშვილი კვირიკაშვილს რესპუბლიკელების სასარგებლოდ გაურიგდა“





## გიგლა ბარამიძე: „მალე საქართველოში სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს დახურავენ“

შორენა მარსაგიშვილი

რაზე შეუთანხმდა პრემიერი პრეზიდენტს, ვინ დაარღვია ამომრჩევლის და ოპოზიციის უფლებები, რატომ არ ახსენა კერიმ ლავროვთან საუბრისას საქართველო, რატომ არა აქვს აზრი პარტიების დაკვეთით ჩატარებულ კვლევებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

***– რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პაატა ბურჭულაძის პარტიის დაკვეთით ჩატარდა კვლევა, სადაც გამოჩნდა, რომ პირველ ადგილზე ნაციონალები არიან. თქვენს პარტიას კი მხოლოდ 3%-იანი რეიტინგი ჰქონდა.***

– პარტიების მიერ ჩატარებულ კვლევებზე ასეთი კომენტარი მაქვს, მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო. ხალხის რეალური განწყობა არჩევნებზე გამოჩნდება, ამიტომ კვლევებზე მეტად ის მაინტერესებს, საიდან აქვს ახლად შექმნილ პარტიას ასეთი კოლოსალური თანხები. რეგიონებში წასვლა, მხარდამჭერების წაყვანა, შეხვედრების მოწყობა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ჩვენც გვინდა ფულის შოვნა და ეგება ვიშოვოთ.

ეს ხუმრობით, სერიოზულად კი სხვა საკითხს მინდა შევეხო, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს უკავშირდება. ძალიან ცუდია, რომ ერთ-ერთი ქვეყნის საელჩო და ამ ქვეყნიდან ჩამოსული უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელე ძალიან სტერეოტიპულად უდგებიან შემოდგომაზე დაგეგმილ არჩევნებს. სულ ახლახან საქართველოს აშშ-ს სახელმწიფო მინისტრი ჯონ კერი სტუმრობდა. ის მხოლოდ 3 პარტიის წარმომადგენლებს შეხვდა. მათ შორის ისეთებს, ვისაც არჩევნებში არც კი მიუღია მონაწილეობა.

***– თქვენ ამას რატომ აპროტესტებთ? ფიქრობთ, რომ შეერთებული შტატები ამ პარტიებს დაუჭერს მხარს?***

– ალბათ ასე უნდათ, მაგრამ ქართველ ხალხს აღარაფერს ეკითხებიან? ეს ამერიკის საელჩოა თუ გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციაა, რომ ასეთი რაღაცები გადაწყვიტოს? საინტერესოა ისიც, რომ ამ შეხვედრაზე კერის რატომღაც არავინ გააცნო ის უკანონო კანონი, რომლის მიხედვითაც რამდენიმე პარტიას კუთვნილი უფასო სარეკლამო დრო ჩამოგვაჭრეს. ამ თემაზე საუბარი არავის აწყობს და ამიტომაც შევიტანეთ 20 ივლისს საკონსტიტუციოში სარჩელი.

რატომ არავინ არ ესაუბრა კერის იმაზე, რომ საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ ადმინისტრაციული რესურსი კიდევ უფრო აქტიურად იქნება გამოყენებული. არავინ ისაუბრა იმაზე, რომ ამომრჩეველთა სიები კიდევ უფრო გაბერილია.

ამ თემებზე საუბრის ნაცვლად, რაღაცებზე შეუთანხმდნენ. ვინც შეუთანხმდება და მიეყიდება, მათთვის პარლამენტის კარი არის ღია.

ბატონი კერი თუ ასე გულაჩუყებულია საქართველოზე, პუტინთან და ლავროვთან სვენებ-სვენებით რომ ჩაატარა შეხვედრა, ერთხელ მაინც ეხსენებინა პატარა საქართველო. სხვა თუ არაფერი, ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორად ვითვლებით. ამ დალოცვილს ერთხელ მაინც ეკითხა პუტინისთვის, როდის აპირებს საქართველოს ხელისუფლებასთან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე შეხვედრას. ესეც ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველო არავის ადარდებს და ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ტერიტორიად უნდათ, სადაც რაღაცის განთავსება სურთ.

***– მოდით, ისევ უფასო სარეკლამო დროს დავუბრუნდეთ. თქვენმა პარტიამ ოფიციალურად მიმართა პრეზიდენტს და სთხოვა, რომ ამ კანონზე ვეტო დაედო. რატომ თქვა მარგველაშვილმა ვეტოს გამოყენებაზე უარი?***

– ჩვენ მართლაც მოვუწოდეთ მარგველაშვილს, გამოეჩინა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი სიმწიფე და ძალადობით მიღებული უსამართლო კანონისთვის ვეტო დაედო. ამ ადამიანს ვეტოს გამოყენება არ უჭირს და ერთი პერიოდი ყველაფერს ვეტოს ადებდა. ამიტომაც შევარქვი მას მისტერ ვეტო. ახლა ეს უფლება არ გამოიყენა. არადა საარჩევნო კოდექსში შესულ ცვლილებებში 3 დიდი დარღვევაა.

უმთავრესი ის გახლავთ, რომ პროცედურულად დარღვევებით გაატანინეს ეს კანონი რესპუბლიკელებს. ეს პროექტი ვახტანგ ხმალაძემ მოამზადა. დაირღვა ამომრჩევლის უფლებაც, რადგან მათი არც ერთი მოთხოვნა არ იქნება გათვალისწინებული.

პრეზიდენტმა ვეტო იმიტომ არ დაადო, რომ პრემიერს გაურიგდა. ეტყობა, კვირიკაშვილი დაჰპირდა, რომ თვითმფრინავის ბაკს საწვავით გაუვსებდა. უთხრა, უფრო მეტ თანხას გამოგიყოფ, რომ 200 კაციანი დელეგაცია იახლო ვიზიტისასო. ფაქტი ერთია, ისინი რესპუბლიკელების სასარგებლოდ გარიგდნენ.

თავად ამ კანონის ძირითადი ქვეტექსტი ის იყო, რომ უფასო სარეკლამო დრო ყველაზე თანაბრად გადანაწილებულიყო. ეს სწორია და ამის წინააღმდეგი არც ვართ, მაგრამ ჩვენთვის დროის წართმევის ხარჯზე ეს არ უნდა მოხდეს. ეს ცვლილებები იმიტომ მოიგონეს, რომ თავიანთი სატელიტები, პირველ რიგში კი, რესპუბლიკელები დაეკმაყოფილებინათ.

***– რესპუბლიკელები ხომ წასულები არიან კოალიციიდან, მათ სასარგებლოდ რატომ უნდა გარიგებოდა კვირიკაშვილი პრეზიდენტს?***

– რესპუბლიკელები არსადაც არ არიან წასულები. წასულები რომ ყოფილიყვნენ, თინა ხიდაშელი კვლავ თავდაცვის მინისტრის სკამზე არ იჯდებოდა. გარიგება კი იმიტომ შედგა, რომ კოალიციიდან გასულ პარტიებს ზედმეტი რაღაცები არ ეთქვათ. საარჩევნო სიების ფორმირების გამო გუნდში ისედაც პრობლემები აქვთ და ზედმეტი შარი აღარ უნდოდათ.

***– რას ფიქრობთ „ქართული ოცნების“ ახალ სახეებზე?***

– ჩემთვის არც ერთი მათგანი არ ყოფილა ახალი სახე. ყველა მათგანი არის ან მინისტრის ყოფილი მოადგილე, ან მინისტრის ყოფილი მრჩეველი. ამ სახეების გამოჩენაზე მეტად აღმაშფოთებელი ის იყო, რომ ხელისუფლებამ ქართულ განათლებას შეურაცხყოფა მიაყენა.

***– რატომ გაკეთდა განსაკუთრებული აქცენტი საზღვარგარეთ მიღებულ განათლებაზე?***

– იმიტომ, რომ თავიანთი პატრონების მიმართ პატრონყმური და მონური დამოკიდებულება გამოხატეს. ცუდი არ არის, თუ ახალგაზრდამ საზღვარგარეთ ისწავლა, მაგრამ პირდაპირ დეპუტატად და მინისტრად რომ მიგყავს, რა წესია.

ასეთი რამე სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო და იქაურ პრემიერს ისეთი რამ ეთქვა, რაც კვირიკაშვილმა თქვა, იმავე დღეს გადააყენებდნენ. ჩვენთან მხოლოდ ტატყანი შეუძლიათ და სახელმწიფოებრივად არავინ აზროვნებს. არც ის გამიკვირდება, რომ ახლო მომავალში საქართველოში სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები დახურონ იმ მოტივით, რომ ქართული განათლება არ ვარგა.

თავად ახალ სახეებს რაც შეეხება, პიროვნულად არც ერთ მათგანს არ განვიხილავ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ახალი კოლუაშვილების გაჩენის მცდელობას აქვს ადგილი. დაელოდეთ ცოტა ხანი და ესენი უარესებს იტყვიან. წინა სისხლიანი რეჟიმის მსგავსად, ამოუჩემებიათ ნატო და გაიძახიან, რომ მხოლოდ ის არის საქართველოს უსაფრთხოების გარანტი. ამაში ჩვენ სერიოზულად გვეპარება ეჭვი.

***– და ამიტომ ითხოვთ საქართველოსთვის უბლოკო სტატუსს?***

– უბლოკო სტატუსი იმიტომ გვინდა, რომ საქართველოში არც ერთი ქვეყნის სამხედრო ბაზა აღარ იდგეს. ნატოსთან თანამშრომლობა ძალიან კარგია, მაგრამ იქ გაწევრიანებით ვერც დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ და არც ჩვენი უსაფრთხოება იქნება დაცული.

ნატო რომ უსაფრთხოების დაცვის 100%-იანი გარანტი არ არის, ეს თურქეთის მაგალითზეც გამოჩნდა. დაპირისპირებები ნატოს წევრ ქვეყნებს შორისაც ხდება. კვიპროსის საკითხზე წლების წინ ერთმანეთს თურქეთი და საბერძნეთი დაუპირისპირდნენ. მაშინ ის პრობლემა ძლიერი ქვეყნის – თურქეთის სასარგებლოდ გადაწყდა. ამით განაწყენებული საბერძნეთი რაღაც დროის მანძილზე ალიანსიდანაც კი იყო გასული.

***– ვთქვათ, ნატო არ არის უსაფრთხოების გარანტი, მაგრამ უბლოკო სტატუსი რა გარანტიებს მოგვცემს? რატომ გგონიათ, რომ უბლოკო სტატუსის შემთხვევაში რუსეთი წართმეულ ტერიტორიებს დააბრუნებს?***

– ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი ამტკიცებს, რომ ამით ჩვენ დასავლეთზე უარს ვამბობთ. ჩვენ არც ევროკავშირზე ვამბობთ უარს და არც – სამშვიდობო მისიებში მონაწილეობაზე. უბრალოდ არ გვინდა, რომ რომელიმე ბლოკის წევრი ვიყოთ. ჩვენი ამოცანაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ქართული ჯარი იდგეს.

თუ ჩვენ უბლოკო სტატუსი გვექნება, რუსეთთან დავიწყებთ მოლაპარაკებებს მათი ბაზების გაყვანის მოთხოვნით. ისინი ამაზე დაგველაპარაკებიან, რადგან მიიღებენ გარანტიას, რომ აქ სხვა ქვეყნის სამხედროები არ შემოვლენ. რუსეთის გარეშე რომ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ, ამას თავად ნატო და ამერიკა გვეუბნებიან.

არავინ გვიღებს ნატოში, მაგრამ ერთი წამით დავუშვათ, რომ მოგვიღეს და გაიხსნა მისი ბაზა. აქვე არის რუსული ბაზები. მათ შორის დაპირისპირება რომ მოხდეს, როგორ გგონიათ, ომი სად გაჩაღდება – ბრუკლინში, მანჰეტენზე, შანზელიზეზე? ეს მოხდება საქართველოში და ამით ქვეყანა დაიღუპება.

***– უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით სხვა პარტიებთან თუ გქონდათ მოლაპარაკებები და რას ფიქრობენ ამაზე?***

– ამ თემაზე პარტიებთან საუბარს არ ვაპირებთ. ამაზე მხოლოდ ამომრჩეველს დაველაპარაკებით. მართალია, ეს რთული გზაა, მაგრამ არის იმის გარანტი, რომ ჩვენი ტერიტორიიდან რუსული ბაზები გავიყვანოთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ საქართველოში არც ერთი ქვეყნის ჯარი არ მინდა, რომ იდგეს, თუნდაც ის მეგობარი ქვეყნის ჯარი იყოს. ჩვენ არავის იმედად არ უნდა ვიყოთ და საკუთარ უსაფრთხოებაზე თავად უნდა ვიზრუნოთ.

ამ ფონზე აუცილებლად უნდა გავიხსენო ვარშავის სამიტი და ხელისუფლებას ვკითხო, რა შედეგები ჩამოიტანეთ? ქართველი ბიჭები ავღანეთში იმიტომ იღუპებიან, რომ მხოლოდ დეკლარაციაში ვეხსენებინეთ? ეს არის საქართველოს მცონარა ხელისუფლების ბრალი, რომლის წარმომადგენლებიც დასავლეთში მხოლოდ გასართობად დადიან.

ვარშავის სამიტის შემდეგ ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა და კერი-ლავროვის შეხვედრა შედგა. ამ შეხვედრებზე ყველაფერზე ისაუბრეს, ყველა კონფლიქტური რეგიონი ახსენეს, სირიიდან დაწყებული, დონბასით დამთავრებული. მხოლოდ საქართველო არ გახსენებია არავის.

## ლევან როსტოშვილი და ლაშა კურტანიძე 150 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

ტელეწამყვანი ლევან როსტოშვილი 150 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. 150 ათასი ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გამოუშვეს მასთან ერთად დაკავებული მსახიობი ლაშა კურტანიძეც.

ალმკვეთი ღონისძიების გირაოთი ჩანაცვლების შესახებ ბრალდებულთა ადვოკატმა იშუამდგომლა. მოსამართლემ 21 დაცვის მხარის შუამდგომლობა გაითვალისწინა და ორივე დაკავებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

მათ გირაოს თანხის შესატანად 5 დღიანი ვადა აქვთ.

ლევან როსტოშვილი და ლაშა კურტანიძე 5 მაისს დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, როსტოშვილსა და კურტანიძეს 42.9524 გრამი ნარკოტიკული საშუალება MDMA აღმოაჩნდათ.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას გულისხმობს.



## კვირიკაშვილი: ახალი თავდაცვის მინისტრი არც სესიაშვილი იქნება და არც – კახიშვილი“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც ირაკლი სესიაშვილი და კახი კახიშვილი თავდაცვის მინისტრის პოსტზე განიხილებიან.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, თავდაცვის მინისტრის პოსტზე კანდიდატის შესარჩევად კონსულტაციები გრძელდება.

– გრძელდება კონსულტაციები, მაგრამ არა ამ ორ კანდიდატთან დაკავშირებით. ირაკლი სესიაშვილი არის ღირებული იქ, სადაც ის მოღვაწეობს. სავარაუდოდ, ის იქნება მაჟორიტარობის კანდიდატი. რაც შეეხება კახა კახიშვილს, ის არის ძალიან კარგი სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი და ვფიქრობ, მისი გამოცდილება არის ძალიან ღირებული იქ, სადაც დღეს მუშაობს, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მან თავი შეიკავა დაესახელებინა, თუ ვისი კანდიდატურები განიხილება თავდაცვის მინისტრის პოსტზე.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამწველ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ინტერპოლმა იგორ გიორგაძეზე ძებნა შეწყვიტა

## უშიშროების ექს-მინისტრი საქართველოში ბრუნდება

შორენა მარსაგიშვილი

**ისევე, როგორც ყველა არჩევნების წინ, იგორ გიორგაძის საქართველოში დაბრუნების საკითხი კვლავ აქტუალურია. ამჯერად გიორგაძის დაბრუნება რეალობასთან ყველაზე ახლოსაა. უშიშროების ყოფილი მინისტრის თქმით, ინტერპოლმა მასზე ძებნა გააუქმა.**

**როგორც გაირკვა, მასზე ძებნა 30 მაისს შეწყდა, საზოგადოებისთვის ამის შესახებ მხოლოდ 40 დღის შემდეგ გახდა ცნობილი.**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მან საოცნებო ხელისუფლებას მისი საქმის გადახედვა სთხოვა. რამდენიმე მეოცნებე დეპუტატი მზად იყო მის „გასაპრავებლად“. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედი ფოფხაძე მაშინ ამტკიცებდა, გიორგაძე შესანიშნავი ადამიანია და არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიაო.

მან კიდევ რამდენიმე მეოცნებე აიყოლია, ნაციონალებს ერთი ამბავი რომ არ აეტეხათ, შესაძლოა მასაც გამოეკრა ხელი პოლიტდევნილის სტატუსისთვის.

ცნობისათვის, გიორგაძეს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (ძველი რედაქციის) 65-ე, 67-ე, 78-ე, 104-ე მუხლებით განსაზღვრულ დანაშაულებში ედება. 65-ე მუხლი „სამშობლოს ღალატს“ გულისხმობს. საქმე 1995 წელს საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტს ეხება.

მარტის თვეში საქალაქო სასამართლომ სასწრაფო წესით დაიწყო ამ საქმის გამოძიება. ამან გარკვეული ეჭვები გააჩინა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ხელისუფლებას მისი გამართლება უნდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ საქმეში გარეულები არიან გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი და ქუთაისის მაჟორიტარობის დეპუტატობის კანდიდატი კობა ნარჩემაშვილი.



თავის დროზე აგულაშვილი ამ საქმის პროკურორი იყო, ხოლო ნარჩემაშვილი გამომძიებელი.

აშკარაა, რომ მისი „გაპრავება“ ვიღაცის ინტერესებშია. ვიღაცას სურს, რომ ის საქართველოში ჩამოვიდეს და არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ცნობისათვის, გიორგაძეს საკუთარი პარტიაც აქვს შექმნილი და მას სამართლიანობა ჰქვია.

იგორ გიორგაძეზე გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ინტერპოლმა 1995 წლის 20 ნოემბერს გამოაცხადა ძებნა. ინტერპოლს გიორგაძე რუსეთსა და სირიაში ემალებოდა. პერიოდულად ავრცელებდა ინფორმაციას, რომ საქართველოში იმყოფებოდა.

მიმდინარე წლის 30 მაისს საქართველოში ინტერპოლის ეროვნულ ბიუროს ინტერპოლის გენერალური სამდივნოდან მოუვიდა ინფორმაცია, იმის გამო, რომ გიორგაძეს მინიჭებული ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი, მის მიმართ შეწყდა წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას, ინტერპოლის გენერალური სამდივნო დაეყრდნო 2015 წლის 18 თებერვალს ინტერპოლის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციებს, რომელთა საფუძველზეც პირი, რომელიც სარგებლობს ლტოლვილის სტატუსით, მის მიმართ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა შეწყვეტას ექვემდებარება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის განმარტებით, ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ ზემოთ მითითებული საკითხი განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო ქართულ მხარესთან ყოველგვარი კომუნიკაციის გარეშე.

– კერძოდ, იგორ გიორგაძის მიმართ ძებნის შეწყვეტის საკითხის განხილვისას ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს არ გამოუთხოვია და საქართველოს შესაბამის სტრუქტურებს არ მისცემიათ შესაძლებლობა, ინტერპოლისთვის წარედგინათ შესაბამისი მტკიცებულებები და მასალები, რაც იგორ გიორგაძის მიმართ საერთაშორისო ძებნის გაგრძელების მიზანშეწონილობას დაასაბუთებდა. შედეგად, პირი, რომელიც 1995 წლიდან იძებნებოდა, მის მიმართ შეწყდა ინტერპოლის არხებით საერთაშორისო ძებნა, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

საქართველოს პროკურატურა პირობას დებს, რომ მისი კომპეტენციის ფარგლებში გაატარებს ყველა ზომას და მიმართავს ყველა საშუალებას, რათა იგორ გიორგაძის მიმართ აღდგეს წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა.

# თურქეთი საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას გააძლიერებს?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სკოლები დახურო, გარეკო, გააუქმო, ეს ადვილი გასაკეთებელია, მაგრამ თუ დახურვას ითხოვ, ამის მიზეზი უნდა გქონდეს, ეს მოთხოვნა დოკუმენტურ მასალაზე უნდა იყოს დაყრდნობილი, ე.წ „ტერორიზმის“ ერთი ფაქტი ხომ მაინც უნდა დაფიქსირდეს?

◆ ◆ ◆

ფეთჰულა გიულენის მოძრაობა „ჰიზმეთი“ საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე გამოჩნდა და 1994 წლიდან, „ჩაღლარის საგანმანათლებლო ქსელის“ ქოლგის ქვეშ, ეტაპობრივად, რამდენიმე, კერძო სკოლა და უნივერსიტეტი გახსნა. გიულენის ოფიციალური გვერდი ინტერნეტში 32 ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზეც მუშაობს. მის სკოლებსა და უნივერსიტეტში 95% საქართველოს მოქალაქე ასწავლის და სწავლობს.

დღეისთვის ფეთჰულა გიულენის სწავლების მიმდევარი თურქი ბიზნესმენები საქართველოში მართავენ:

თურქეთის ყოფილი პრემიერისა და პრეზიდენტის სულეიმან დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს, სკოლა-ლიცეუმ „სხივს“ და ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლას თბილისში; შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმს რუსთავში; დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლას მარნეულში; ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს ქუთაისში და თურქეთის ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრის, ქართული წარმოშობის, რაფაედინ შაჰინის, ლორთქიფანიძის სახელობის სკოლა-ლიცეუმ „მეგობრობას“ ბათუმში.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელსაც საქართველოში მეოთხე ადგილი უკავია (რექტორი ილიას ჩილოღლუ), ასევე „ჰიზმეთის“ ქსელთან არის დაკავშირებული. ამ უნივერსიტეტის ფონდ „აღორძინების“ დამფუძნებელი ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა, გიული ალასანია გახლავთ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სასწავლებელს აქვს საქართველოს განათლების სამინისტროს ოფიციალური აკრედიტაცია და სწავლებაც, სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით, ქართულ ენაზე მიმდინარეობს. მოსწავლეებს გაძლიერებულად ასწავლიან დასავლურ ევროპულ ენებს, ხოლო თურქული ენის შესწავლა არჩევითია.

◆ ◆ ◆

ემზარ მაკარაძე წლების მანძილზე ბათუმის შაჰინის სახელობის სკოლაში საქართველოს ისტორიას ასწავლიდა. ეს სკოლა დაამთავრა მისმა შვილმაც.

პროფესორი ამბობს, რომ დაუშვებელია, თურქეთის შიდა პოლიტიკურ გარჩევებს საქართველოში ეს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ქსელი შეეწიროს.



– ფეთჰულა გიულენის სწავლება, მოძღვრება არ არის დაკავშირებული რაიმე ფუნდამენტალისტურ იდეებთან, მისი იდეოლოგია არის უფრო პროდასავლური, ევროპულ ღირებულებებზე, რბილ, ევროისლამზე ანუ ისლამის გათანამედროვეობაზე აგებული, – ამბობს პროფესორი.

ეს საგანმანათლებლო ქსელი მსოფლიოს 160 ქვეყანაში 1.600-მდე სკოლას მოიცავს. მთავარი დედააზრი ამ მოძრაობისა არის მშვიდობა, ახალი თურქეთი, ახალი ისლამი, განათლება, მეცნიერება, პაციფიზმი და კონფესიებს შორის მუდმივი დიალოგი.

– როცა თურქეთის საელჩო და საკონსულო გიულენის ქსელს ახსენებენ, მე ვსვამ კითხვას, რატომ არ ინტერესდებიან ისინი საქართველოში მოდებული მედრესეებით და რელიგიური სკოლებით, რომლებსაც აკრედიტაციაც კი არ აქვთ? ვფიქრობ, პრობლემას იმ ჭრილიდან უნდა შევხედოთ, საიდანაც საშიშროება უფრო მეტია, – ამბობს ემზარ მაკარაძე.

◆ ◆ ◆

75 წლის ფეთჰულა გიულენი, მწერალი, თეოლოგი და მქადაგებელი, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან მუსლიმ ლიდერად მიიჩნევა მსოფლიოში. იგი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს სამშობლოში, მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და თურქეთში მასზე ძებნაა გამოცხადებული. ერდოღანის მთავრობამ მისი ექსტრადირება ოფიციალურად მოითხოვა.

2002 წელს, საპარლამენტო არჩევნების მოსაგებად, ფეთჰულა გიულენმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა სამართლიანობისა და განვითარების პარტიას, რამაც დასაბამი მისცა რეჯებ ერდოღანის 14 წლიან მმართველობას თურქეთის ისტორიაში.

ურთიერთობა მოკავშირეებს შორის მალევე გაცივდა. რეჯეპ ერდოღანმა ფეთჰულა გიულენისა და „ჰიზმეთის“ გავლენა თურქულ საზოგადოებაზე, განათლების სისტემაზე, ჯარზე, სასამართლოზე, პროკურატურასა და მედიაზე მისი ძალაუფლებისთვის უაღრესად სახიფათოდ მიიჩნია.

2013-14 წლების შემდეგ, როცა გიულენის მიმდევარმა მოსამართლეებმა და პროკურორებმა რეჯებ ერდოღანისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ უპრეცედენტო კორუფციული საქმე წამოიწყეს, თურქეთის პრეზიდენტი გიულენისტების დასჯის შანსს არ უშვებს ხელიდან.

ანკარამ 2014-15 წლებში მიაღწია ფეთჰულა გიულენის სკოლების დახურვას აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, რუსეთის, გერმანიისა და ერაყის რამდენიმე ქალაქში. ოფიციალური ბაქო კიდევ უფრო შორს წავიდა და გიულენთან კავშირის გამო რამდენიმე აზერბაიჯანელი ჩინოსანი და თურქეთის მოქალაქეც კი დააპატიმრა.

ექსპერტების აზრით, 15-16 ივლისის მოვლენები თურქეთის ლიდერისთვის კიდევ უფრო იდეალური ფონია. თურქეთის ზეწოლით, რამდენიმე დღის წინ, სომალის ხელისუფლებამ ერთი კვირა მისცა გიულენისტებს, დაკეტონ მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა სკოლა და სომალი დატოვონ.

**2013-14 წლების შემდეგ, როცა გიულენის მიმდევარმა მოსამართლეებმა და პროკურორებმა რეჯებ ერდოღანისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ უპრეცედენტო კორუფციული საქმე წამოიწყეს, თურქეთის პრეზიდენტი გიულენისტების დასჯის შანსს არ უშვებს ხელიდან**

თავად თურქეთში განათლების სამინისტრომ უკვე 15.000 თანამშრომელს შეუჩერა კონტრაქტი, 21.000 პედაგოგს ლიცენზია გაუუქმა, ხოლო უნივერსიტეტებში 1.500-ზე მეტ დეკანს მკაცრად უბრძანეს, გადადგომის თაობაზე განცხადება თავად დაეწერათ.

მოკლედ, ფეთჰულა გიულენის მომხრეებზე ნამდვილი ნადირობის სეზონია გახსნილი.

რა გზავნილები მიიღო პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა თურქეთში და რა ელოდება ფეთჰულა გიულენის საგანმანათლებლო ქსელს საქართველოში, ეს, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

**ნიუსპრესი**

# გია ხუხაშვილი „გირჩის“ და ვაშაძის გაერთიანებაზე: „მკვდარი მკვდარს აეკიდა“

– ადამიანებს რაღაც ეტაპზე უჩნდებათ ილუზია, რომ ისინი არიან ლიდერები, – ასე აფასებს ექსპერტი გია ხუხაშვილი მედიანიუსთან საუბარში „გირჩის“ და გიორგი ვაშაძის პარტიის „ახალი საქართველოს“ საარჩევნოდ შესაძლო გაერთიანებას.

– არც ერთი და არც მეორე, რბილად რომ ვთქვათ, ამისთვის მზად არ იყო. იმიტომ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში მიხეილ სააკაშვილი არის ძალიან ოდიოზური ფიგურა, ძალის ცენტრი რეალურად არის ის. მათ გაუჩნდათ წამოსვლის ამბიცია, გატესტეს და დაინახეს, რომ მათ არანაირი შანსი არ აქვთ და ახლა ცდილობენ ენერგია გააჩინონ თუნდაც ერთმანეთთან ურთიერთობაში.

დამერწმუნეთ, ეს არაფერს არ ნიშნავს, იმიტომ, რომ მათ ჰყავთ საერთო ელექტორატი. თუ ეს ელექტორატი მათი ნაცნობობით შემოიფარგლება, ეს ნაცნობობაც უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო ჰყავთ. ასე რომ, პრინციპში, მკვდარი მკვდარს აეკიდა. ეს მათ არაფერს არ შემატებს. ეს არის სახის შენარჩუნების მცდელობა, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

◆ ◆ ◆

შეგახსენებთ, რომ გიორგი ვაშაძემ და ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადეს, რომ მხარეები საარჩევნოდ გაერთიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს მართავენ.

**მედიანიუსი**

# სალომე ზურაბიშვილი კენჭს მთაწმინდის ოლქში იყრის

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, სალომე ზურაბიშვილი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას.

ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, კანდიდატურის დასაყენებლად ხვალიდან ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგროვება დაიწყება.

– მივმართავ მთაწმინდის ოლქის საარჩევნო კომისიას, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი. ჩემი თავი წარმომიდგენია, როგორც საქართველოს დამოუკიდებელი დეპუტატი პარლამენტში. მე შევხვდი პრემიერ-მინისტრს, მაგრამ როგორც უპარტიო ადამიანს, ჩემი კონსულტაციები პარტიებთან არ იყო მიზანშეწონილი.

მე არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი და მაქვს გამარჯვების იმედი. დღეს მე წარმოვადგენ საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს მოქალაქეებს, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

**მედიანიუსი**

# კონგრესმენი ჯეისონ ჩეფეტსი: „საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რომ მსოფლიომ არჩევნების შედეგები ირწმუნოს“

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაციის ზედამხედველობისა და სამთავრობო რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარე ჯეისონ ჩეფეტსი დარწმუნებულია, რომ საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს იყოს ღია, სამართლიანი არჩევნები, რომ მთელმა მსოფლიომ ირწმუნოს ამ არჩევნების შედეგები.

ამის შესახებ კონგრესმენმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ამერიკული დელეგაციის შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

კონგრესმენის შეფასებით, შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მიმდინარე რეფორმებს და გამოწვევებს.



– ჩვენ გვინდა დავეხმაროთ საქართველოს. მხარს ვუჭერთ მას, მის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები გელით წინ. დარწმუნებული ვართ, საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს იყოს ღია და სამართლიანი არჩევნები, რათა მთელმა მსოფლიომ ირწმუნოს მისი შედეგები.

დღევანდელ შეხვედრაზე აღნიშნეს ის გამოწვევები და პრობლემები, რომლებიც რეგიონშია. ვარწმუნებთ საქართველოს მოსახლეობას, რომ აშშ-ში როგორც რესპუბლიკელების, ისე დემოკრატების სრული მხარდაჭერა არსებობს როგორც კონგრესში, ისე სენატში. ვისაუბრეთ იმ მღელვარების შესახებ, რომელიც მიმდინარეობს რეგიონში, – განაცხადა კონგრესმენმა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე ხაზი გაესვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს დაეხმაროს საქართველოს ყველა ასპექტში.

# ვახტანგ რჩეულიშვილი: „სანამ მაია ციხეშია, ვერავინ ვერაფერს მიიღებს“

ნონა ცაბაძე

**ცენტრ პოინტის საქმის განხილვა, რომელშიც ბრალდებულები მაია რჩეულიშვილი, რუსუდან კერვალიშვილი და კომპანია დექსუსის დამფუძნებელი ივანე ცაგურია არიან, საქალაქო სასამართლოში გუშინ, 20 ივლისს, განახლდა.**

**გუშინდელ პროცესზე ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ, რომლებიც ცენტრ პოინტის საქმიანობის შედეგად დაზარალდნენ.**

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მაია რჩეულიშვილს და რუსუდან კერვალიშვილს 11 მილიონზე მეტი ლარის მითვისებას ედავება.

როგორც რუსუდან კერვალიშვილმა სხდომის დაწყებამდე განაცხადა, ის მოხარული იქნებოდა, თუკი მის დას, მაია რჩეულიშვილს, გაათავისუფლებდნენ და მას დააკავებდნენ.

– სამშენებლო სექტორს და მაიას უნდა მიეცეს საშუალება, რომ გააკეთოს მოსახლეობის სასიკეთო საქმე, – განაცხადა რუსუდან კერვალიშვილმა.

სასამართლო პროცესს ესწრებოდა ვახტანგ რჩეულიშვილიც, რომელმაც სასამართლოს მცირე რეპლიკით მიმართა და ითხოვა, გაეთავისუფლებინათ მაია რჩეულიშვილი, სანაცვლოდ კი ის დაეკავებინათ.

მოსამართლემ ვახტანგ რჩეულიშვილის სიმშვიდისაკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დარბაზის დატოვება მოსთხოვა. ამაზე რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ ამ პროცესს მშვიდად ვერ უყურებს და სხდომათა დარბაზი დატოვა.

„ახალი თაობა“ ვახტანგ რჩეულიშვილს ესაუბრა.

***– ბატონო ვახტანგ, რატომ დატოვეთ სასამართლო დარბაზი?***

– რატომ დავტოვე და საერთოდ აზრი აღარ აქვს არც პროცესს და აღარაფერს. ერთი რამ უნდა იცოდეს ყველამ, სანამ მაია ზის, არაფერი გაკეთდება. აწი არც პროცესია საინტერესო, არც ჩემი დასწრება. არც არავინ იმუშავებს, არაფერი აშენდება და დაისვენონ ჩვენმა კლიენტებმაც.

***– რას ნიშნავს დაისვენონ კლიენტებმა?***

– იმას, რომ მაიას გარეშე ვერაფერი გაკეთდება და როგორც უნდა, ისე გაიგონ! მე კანონს ვერ შევეწინააღმდეგები და რევოლუციას ვერ მოვაწყობ ამის გამო. მაია ციხეშია და სანამ ის ციხეშია, ვერავინ ვერაფერს მიიღებს!

***– ეს მუქარაა? სხვა ვერავინ გააგრძელებს საქმიანობას?***

– ვერა! მაიას ვერავინ შეცვლის!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ მაია არის გენიოსი ბიზნესმენი. ასეთები იბადებიან მილიონში ერთი! უფულოდ მოიყვანა კომპანია აქამდე და ჩააბარა ბათუმის მაგნოლია! მაია დაიჭირეს აშენებულ კორპუსზე და ჩვენ მეტი რაღა უნდა გავაკეთოთ?!

***– დღეს ხომ მაგნოლიას საკითხს არ განიხილავენ? ამხანაგობა თაბუკაშვილის საქმე იხილება.***

– იგივეა ყველაფერი. უბრალოდ, გაყვეს. ჩემთვის მაგნოლიაც და თაბუკაშვილიც ერთი და იგივეა. რა საჭირო იყო ეს გათამაშება, ერთი კომპანიის საქმეა ორივე. ჩვენთვის კლიენტი კლიენტია. მაგნოლიის ხელის ხლებით, მათ სამშენებლო ბიზნესი დაასამარეს. ნებისმიერ მშენებელს მოუსპეს სტიმული. მაიამ ამ კრიზისულ პერიოდში თავდაუზოგავად იმუშავა, რომ გადაერჩინა ხალხის ქონება. გადაარჩინა კიდეც.

***– მაშინ რას გედავებიან, რატომ დააპატიმრეს?***

– თუ ვადებში ვერ ჩაჯდა, ან ვინმეს არ მოეწონა აშენებული, ასე ვერც ერთი მშენებლობა ვერ დასრულდება.

***– გაფლანგულ მილიონებზე რომ არის საუბარი?***

– მილიონებზე რომ არის საუბარი, გიმეორებთ, მაია ერთადერთი ადამიანია, ვისაც აქვს ეს მილიონების აქტივები, ხელს ნუ შეგვიშლიან და ამ მშენებლობებს ჩვენ თვითონ დავასრულებთ. ხოლო თუ ამათმაც დექსუსობანა გადაწყვიტეს, ის რაც გაგვიკეთა წინა ხელისუფლებამ, არჩევნების წინ შემოუშვეს დექსუსი, მაია ამ ყველაფერს ჩამოაცილეს. ახლაც ზუსტად იგივე მოხდა. კარგით რა, ერთსა და იმავე წყალში ასჯერ ხომ არ შევალთ?!

***– თქვენ და მაია თავად არ საუბრობდით, რომ სააკაშვილის ხელისუფლება კარგია და ის გვერდში გედგათ?***

– კარგია რას ნიშნავს? კარგი კი არ არის... როგორ შეიძლება რომელიმე ხელისუფლება იყოს კარგი? გინდა შევარდნაძის, გინდა სააკაშვილის და თუნდაც ივანიშვილის?! საქართველოში არის გამომძალველი 70% და კარგი ადამიანი არის 30%. ამ მთავრობებში განსხვავება არ არის, ყველაში არის ცოტა კარგი და უამრავი ნაგავი.

სააკაშვილის დროს ვითომ ქალაქის მერია დააინტერესდა ამ ხალხით, ვითომდა აღელვებდათ მათი ბედი და უცებ, 20 მილიონი მოიპარეს. დღესაც იგივე ხდება. ამიტომაც მე ამ თამაშებში აღარ ვმონაწილეობ! გამოუშვებენ მაიას, დავამთავრებთ. არ გამოუშვებენ და უკვე ზის, ამაზე უარესს რას იზამენ?!

***– ამ სიტუაციაში კომპანიის დათმობა ხომ არ მოგიწევთ?***

– ბანდიტი რომ მოგადგება, მისცემ ყველაფერს, აბა რას იზამ. რად მინდა, მაია ციხეში იჯდეს და მე ქონებას გავუფრთხილდე?! მე ყველაზე მეტად იცით რისი მეშინია?!

***– რისი?***

– მაიას ჩასვამენ, ქონებას წაიღებენ და ხალხი ისევ მოტყუებული დარჩება.

***– მენაშენეები გადარდებთ?***

– საბოლოო ჯამში პასუხგასაცემი ხალხთან მაინც მე ვარ. მაინც ჩვენ მოგვადგებიან, როგორც მაშინ მოგვადგნენ, სააკაშვილის დროს. სააკაშვილმა დაგაზარალათ, ჩვენ რა შუაში ვართო. ახლა გვეტყვიან, ივანიშვილმა წაგართვა, მე რა შუაში ვარო. აი, ეს გაუთავებელი ამბავია და ახლავე უნდა გადაწყდეს. რადგან მაია დაიჭირეს, ყველაფერზე პასუხი თავად აგონ და თავის ხალხს თვითონვე მოუარონ.

***– არის იმის შანსი, რომ საპროცესო გარიგება გაფორმდეს?***

– აწი რაღა უნდა გაგვიფორმონ, მაია ზის და გუკა ზის. მეც ჩამსვან, რისთვის დამტოვეს?! ჩვენ სახელმწიფოს მიერ გაძარცულები ვართ. ხალხს პასუხი თავად გასცენ.

***– ანუ თქვენ აღიარებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს შეგექმნათ სერიოზული პრობლემები?***

– სულ, მთელი ცხოვრება პრობლემები მექმნებოდა, ყველა ხელისუფლების დროს. შევარდნაძის ხელისუფლების ოპოზიციაში ვიყავი, სულ, ის ხელისუფლება მკვლელების ბანდა იყო. სააკაშვილის დროსაც იყო მის ირგვლივ ასეთივე მკვლელების ბანდა. და ეს ხელისუფლებაც ბანდაა, აბა რა არის! რომ იცი, რაშია საქმე და მაიას მაინც დაიჭერ, ესე იგი ბანდიტი ხარ!

***– რუსუდან კერვალიშვილის დაპატიმრების საკითხიც ხომ არ დადგება?***

– რუსუდანი უკვე დიდი ხანია იხვეწება, მეც დამაპატიმრეთო. ერთადერთი მაიაა, ვისაც შეუძლია ამ საქმის დამთავრება და ადგნენ და დაიჭირეს. რომ გავლანძღეთ ეს ხელისუფლება, სოზარ სუბარზე რომ ვთქვით, კორუმპირებულიაო, ხელისუფლება კიდევ არაფრის მაქნისი, ამიტომაც დაიჭირეს მაია!





## „გუკას ცოლი ორსულადაა, ჩვენ შვილიშვილი გაგვიჩნდება“



თუ ესენი კრიტიკაზე ასე მწარედ რეაგირებენ, ამათ ხელში ცოცხლები ვერ გადავრჩებით! ჩვენ შევეგუეთ ამას, რუსუდანს დაიჭერენ თუ არა, ამას არანაირი აზრი აღარ აქვს. თუ კლიენტების გასტუმრება უნდა სახელმწიფოს, მაშინ მაია უნდა გამოუშვან! თუმცა აქ არის მეორე მხარე.

***– რომელ მხარეს გულისხმობთ?***

– ის, რომ უფალი უფრო დიდია და ამ განსაცდელის დროს დიდი სიხარული მოგვივლინა. ჩვენ დიდი უბედურება დაგვემართა, მაია და გუკა ციხეში არიან, სამაგიეროდ, ჩვენთან ძალიან სასიხარულო ამბავია.

***– რა ამბავი, ბატონო ვახტანგ?***

– ის ამბავი, რომ გუკას ცოლი ორსულადაა! ჩვენ გაგვიჩნდება შვილიშვილი!

***– შვილიშვილს ელოდებით, ბატონო ვახტანგ?***

– დიახ, ასეა! ამიტომ მე მიმიფურთხებია ამ ხელისუფლებისათვის და მაგათი ციხისათვისაც!

***– ლელა კილაძისგან?***

– დიახ, ლელასგან.

***– რამდენ ხანში გახდებით ბაბუა?***

– გუშინ გავიგე, სულ ახალი ამბავია! ჯერ რამდენიმე კვირისაა. ძალიან გახარებული ვარ!

***– საჭირო რომ გახდეს, გუკას და მაიას თავისუფლებისთვის დათმობთ ყველაფერს, რაც გაგაჩნიათ?***

– ქონებას? დიახ, ყველაფერს, რაც ამ დაზარალებული ხალხის გასასტუმრებლად არ მჭირდება! იმ ხალხმა რა დააშავა, ვისი ვალიც გვაქვს?! ამ ვალებს რომ გავისტუმრებ, რასაკვირველია, დანარჩენს ყველაფერს დავთმობ!

# კახა მიქაია: „ოცნებას“ სამეგრელოში ჯერ ისევ აქვს შანსი“

## ვის წარადგენენ მაჟორიტარებად?

შორენა მარსაგიშვილი

**23 ივლისს სამეგრელოში დიდი აურზაურია მოსალოდნელი. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ამ რეგიონს მაჟორიტარობის კანდიდატებს წარუდგენს. კანდიდატებს პარტიის თავმჯდომარე და შეთავსებით პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი წარადგენს.**

**მაჟორიტარობის კანდიდატებთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები ვრცელდება. როგორც „ახალ თაობას“ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, სამეგრელოში მაჟორიტარებად ძირითადად ძველ სახეებს წარმოადგენენ.**

დღეს არსებული მდგომარეობით, ფოთის მაჟორიტარობაზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. ესენი არიან: მოქმედი მაჟორიტარი ეკა ბესელია, ქალაქის მერი ირაკლი კაკულია და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია.

დეპუტატის მანდატის მოპოვების შანსები გაუჩნდათ ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარეს და ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელს. ქალაქ ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატად მერაბ ქვარაიას გვარი სახელდება, რომელიც საკრებულოს უდგას სათავეში. ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარობისთვის კი რაიონის გამგებელი ედიშარ თოლორაია იბრძოლებს.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნება“ მარტვილში ისევ სოსო დანელიას წარადგენდა. ბევრი თათბირის შემდეგ კი გადაუწყვეტიათ, რომ აქ ისევ ამ გვარის კაცი დაასახელონ, ოღონდ სხვა სახელის. როგორც ამბობენ,



მარტვილი-აბაშის მაჟორიტარის მანდატის მოსაპოვებლად სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია იბრძოლებს.

ჩხოროწყუ-წალენჯიხის მაჟორიტარობის კანდიდატად წალენჯიხის გამგებელ გოგა გულორდავას მოიაზრებენ.

ხობის მაჟორიტარობისთვის ბრძოლას კვლავ ბიზნესმენი გოდერძი ბუკია აპირებს. ამ ადამიანს შესანიშნავი უნარი აქვს, ყველა ხელისუფლებასთან გამონახოს საერთო ენა.

ფოთის მსგავსად, საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული სენაკის ფრონტზე. ამ რაიონის მაჟორიტარობის პოსტზე ორი კანდიდატურა განიხილება. ესენი არიან ბიზნესმენი დემურ გადელია და სააკაშვილის დროინდელი გუბერნატორი გურამ მისაბიშვილი.

მაჟორიტარობის სავარაუდო კანდიდატების სია, შესაძლოა, 23 ივლისამდე კიდევ შეცვალონ. არაა გამორიცხული, შეიცვალოს წარდგენის თარიღიც.

„დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა მიქაია სავარაუდო კანდიდატებზე საუბრისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს.

– სანამ მათი წარდგენა ოფიციალურად არ მოხდება, ვერაფერს ვიტყვი. ძალიან ხშირად იცვლება გვარები. ამიტომ დაველოდები საბოლოო ვერსიას და მერე გავაკეთებ კომენტარს. იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ ახლა მაინც მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებებს და ისეთ კანდიდატებს დაასახელებს, რომლებიც ხალხისთვის იქნება მისაღები. მთავარია, ისინი არ წარმოადგენდნენ შევარდნაძის ან სააკაშვილის ხელისუფლებას, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მიქაიამ.

მისი თქმით, სამეგრელოში „ქართულმა ოცნებამ“ თავის უმოქმედობით ისედაც ბევრი დაკარგა.

– კოაბიტაციით ხალხის ნდობა დაკარგეს. როცა საკრებულოს წევრი ვიყავი, სულ ვეუბნებოდი „ოცნებას“ და ნაციონალებს, რომ თავიანთი პარტიული მაისურებით ევლოთ. იმდენად დაემსგავსნენ ერთმანეთს, რომ ვინ რომელ პარტიას წარმოადგენდა, ამის გარკვევა შეუძლებელი იყო. ეს კორცხელში გამართულმა არჩევნებმაც დაადასტურა. „ქართულ ოცნებას“ იქ კანდიდატად ნაციონალი ჰყავდა დასახელებული. ასეთი მიდგომები ხალხზე ცუდად მოქმედებს, – აღნიშნავს „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

კორცხელში არჩევნები ნაციონალურმა მოძრაობამ მოიგო. ნაციონალები ამტკიცებენ, რომ შემოდგომაზე არჩევნებს მთელ რეგიონში მოიგებენ.

– ნაციონალები, ბუნებრივია, იტყვიან, რომ არჩევნებს ისინი მოიგებენ. ეს წინასაარჩევნო პიარია. „ქართულ ოცნებას“ ჯერ კიდევ აქვს შანსი, შეცვალოს ვითარება, – აღნიშნავს მიქაია.

ნაციონალები სამეგრელოზე სერიოზულ იმედებს ამყარებენ. წინა არჩევნებში მათმა კანდიდატებმა, ფოთის გარდა, ყველა რაიონი მოიგეს. გავრცელებული ინფორმაციით, სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში კენჭს მიხეილ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი იყრის.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „საქართველო მილიონებს კარგავს“

## „ჩვენ შეგვიძლია ექსტრემალური ტურიზმის ბრენდად ჩამოვყალიბდეთ“

საქართველოს შეუძლია ექსტრემალური ტურიზმის ბრენდად ჩამოყალიბდეს, თუმცა, ხელისუფლება ამ მიმართულებას სათანადო ყურადღებას არ აქცევს. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ამ სფეროს იგნორირებით საქართველო მილიონობით ლარის შემოსავალს კარგავს.



ტურიზმი საქართველოსთვის შემოსავლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ სწორი აქცენტების გაკეთება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

როგორც საქართველოს ჯომარდობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქაცარავა „კომერსანტთან“ ამბობს, იმისთვის, რომ საქართველო ექსტრემალური სპორტის მიმართულებით ბრენდად იქცეს, სახელმწიფო რესურსებია საჭირო, რადგან ექსტრემალური სპორტის მიმართულებები ძვირადღირებულია.

– საქართველოს შეუძლია იქცეს ბრენდად ექსტრემალური სპორტის მიმართულებით, თუმცა, ამაში სახელმწიფო რესურსია ჩასადები. ის ძალისხმევა, რასაც კერძო კომპანიები და ფედერაცია დებს ამ მიმართულებით, არ არის საკმარისი.

წელს ჩატარდა ევროპის თასი საქართველოში, გამოხმაურება იყო ფანტასტიკური და უკვე გავრცელდა ხმები საქართველოზე. ეს ღონისძიება სწორედ სახელმწიფოს მხარდაჭერით ჩატარდა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დონის ტურნირები არ იყოს ერთჯერადი, – აცხადებს დავით ქაცარავა.

მისივე თქმით, საქართველოს ხელსაყრელი მდებარეობა აქვს ექსტრემალური სახეობების განვითარებისთვის, რადგან ზოგადად გეოგრაფიული პირობები და ლანდშაფტი ხელს უწყობს, რომ კარგად განვითარდეს ნებისმიერი ტიპის ექსტრემალური სპორტი.

– ჯომარდობის კუთხით რომ ვისაუბრო, ფაქტობრივად, ეს არის სამოთხე. რადგან ასეთი მდიდარი საწყალოსნო რესურსი ასეთ პატარა ქვეყანაში ძალიან იშვიათია. ევროპაში პრაქტიკულად არ არის ქვეყანა, რომელიც დაჯილდოებული იქნებოდა ამდენი რესურსით. მსგავსი არის მხოლოდ ნორვეგია, მაგრამ საქართველო მაინც იდეალურია ჯომარდისთვის, – აცხადებს დავით ქაცარავა და აღნიშნავს, რომ კარგი იქნება თუ საიმიჯო კლიპებში აქცენტი სწორედ ექსტრემალურ მიმართულებებზე გაკეთდებოდა, რადგან ეს უამრავ ადამიანს მოიზიდავდა ქვეყანაში.

◆ ◆ ◆

საქართველოს წყალქვეშა ცურვის ასოციაციის ხელმძღვანელი დავით ნიკოლეიშვილი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ დაივინგი (წყალქვეშ ცურვა) ტურისტული ქვეყნებისთვის შემოსავლის უდიდესი წყაროა.

მისი შეფასებით, ეგვიპტეში დაივინგ-ტურებიდან უფრო მეტი თანხა შედის ქვეყანაში, ვიდრე, მაგალითად, ,პირამიდების ექსკურსიებიდან, ამიტომ საქართველომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მიმართულებებს.

დავით ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ დაივინგ ტურებით დაინტერესება ძირითადად უცხოელების მხრიდანაა, მაგრამ საქართველო მათ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, რადგან არ გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და ა.შ.

დავით ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ თანხების გამოყოფის მოთხოვნით როგორც წინა, ასევე ამჟამინდელ ხელისუფლებას მიმართეს, მაგრამ ტურიზმის ადმინისტრაცია მათ მიმართვებს ყურადღებას არ აქცევს და ვერ იაზრებს დაივინგის პოტენციალს.

– რა აინტერესებს ტურისტს წყალქვეშ? იგივე, რაც მიწის ზევით – საინტერესო და უცხო სანახაობა. ჩაძირული გემები, რომლებიც ტურისტს აინტერესებს, საქართველოში არ არის. ბუნებრივი პირობები, როგორიცაა წითელ ზღვაში, ბუნებრივი რიფები ან თევზის მრავალფეროვნება, არც ესაა საქართველოში. რაც არის, ის რესურსებიც მცირდება, რადგან ბრაკონიერულ თევზჭერას ეწევიან.

წინა და ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში მივმართეთ მთავრობას კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად, მაგრამ არაფერი წინ არ წასულა, – აცხადებს დავით ნიკოლეიშვილი.

ის რამდენიმე წელია, წყალქვეშ სპეციალური პარკის გახსნას ცდილობს, თუმცა, უშედეგოდ, რადგან წყალქვეშ მიწის გადაცემაზე უარს ეუბნებიან. დავით ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ პარკის მოსაწყობად 50-60 ათასი დოლარია საჭირო.

სხვა ქვეყნები აცნობიერებენ ამ სფეროს მომგებიანობას. მაგალითად, კანარის კუნძულებზე 25 გემი ჩაძირეს ტურისტების მისაზიდად. ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ კანარის კუნძულებმა წელიწადში 20 მილიონით მეტი ტურისტი მიიზიდა.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**კომერსანტ.გე**

# ბათუმის „რედისონის“ მფლობელ კომპანიას 18 საინვესტიციო პროექტი ჩამოართვეს



**აჭარაში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საინვესტიციო კომპანიას „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვი“-ს 18 ობიექტი ჩამოერთვა და სახელმწიფოს დაუბრუნდა.**

**ამასთან, „სილქ როუდ ჯგუფის“ შვილობილ კომპანიას სხვა 12 ობიექტზე განახლებული ვალდებულებებით ახალი კონტრაქტები გაუფორმდა.**

ობიექტების ჩამორთმევის მიზეზი კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა გახდა, რომლებიც მას 2006 წლიდან ჰქონდა. 30 ობიექტიდან კომპანიამ მხოლოდ ერთი – ბათუმის „რედისონის“– მშენებლობა განახორციელა და მასში 50 მილიონი დოლარი ჩადო.

შენარჩუნებულ 12 ობიექტზე 2025 წლის 31 დეკემბრამდე ყაზახურმა კომპანიამ 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

როგორც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, 30-ვე ობიექტი დატვირთული იყო საბანკო იპოთეკით, 2014 წელს ეს საბანკო იპოთეკა გაუქმდა და ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები.

შედეგად, „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვიმ“ სასტუმრო „მესხეთის“ ტერიტორიაზე ობიექტი 2020 წლის ბოლოს უნდა დაასრულოს. კომპანიამ ინვესტიციის სახით უნდა ჩადოს 11,5 მილიონი დოლარი.

კომპანიამ ინვესტიცია უნდა განახორციელოს ასევე ყოფილი სასტუმრო „ნარინჯის“ ტერიტორიაზე, ტურბაზის ტერიტორიაზე, მწვანე კონცხის ტერიტორიაზე, სადაც 6 ობიექტია მოქცეული. ახალი ხელშეკრულებით, აქ კომპანიამ ჯერ განაშენიანების რეგულირების გეგმა უნდა წარადგინოს და 2020 წლის 31 დეკემბრამდე 6 ობიექტიდან ერთ-ერთზე 3 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელოს.

ყველაზე გრძელვადიანი ვალდებულება კომპანიას ბობოყვათის პროექტზე აქვს, სადაც 15 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს და არანაკლებ 4 ჰექტარი ტერიტორია მოაწყოს.

რა აშენდება ამ ობიექტებზე, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ამისთვის კომპანიამ თითოეულ პროექტზე განაშენიანების გეგმა უნდა წარადგინოს.

◆ ◆ ◆

კითხვაზე, რატომ არ დაეკისრა კომპანიას სანქციები შეუსრულებელი ვალდებულებების გამო, აჭარის ეკონომიკის სამინისტროში „კომერსანტს“ პასუხობენ, რომ 2006 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში საჯარიმო სანქციები გათვალისწინებული არ იყო. განახლებულ ხელშეკრულებაში კი ვადების დარღვევასა და სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობაზე კომპანიის მიმართ საჯარიმო სანქციები გაიწერა.

გასული წლის ივნისში კომპანიის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობაზე კვლევა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ გამოაქვეყნა.

ორგანიზაცია აცხადებდა, რომ ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვი“-ს აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლის (ბათუმის, ქობულეთის) გასწვრივ მდებარე 21 ობიექტზე ვალდებულებებს არ ასრულებდა.

ორგანიზაციის ცნობითვე, კომპანია „აჭარა რიზორთ ჰოლდინგ ბი.ვი“ ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი კვირით ადრე, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირდა.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**კომერსანტ.გე**

# საქართველოში საფოსტო ყუთები ბრუნდება



საქართველოში შესაძლოა საფოსტო ყუთების გამოყენების პრაქტიკა დაბრუნდეს. გამოცემა მარკეტერი საფოსტო ყუთებთან დაკავშირებით სპეციალურ სტატიას აქვეყნებს, სადაც საუბარია, რომ საფოსტო ყუთებზე ბევრს საბჭოთა კავშირი და წარსული ახსენდება, მაგრამ მას ეფექტურად იყენებენ განვითარებული ქვეყნები.

გამოცემა დაინტერესდა, რა გეგმები აქვს ამ მიზნით „საქართველოს ფოსტას“.

იქ განმარტავენ, რომ ყუთების დამონტაჟების პროექტი მათთვის პრიორიტეტულია, თუმცა მისი განხორციელება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

– ეს პრობლემა ჩვენს დღის წესრიგში დგას, რადგან ჩვენთვისაც გაცილებით მარტივი იქნება მუშაობა და მოსახლეობასაც გაუმარტივდება საჭირო ინფორმაციის მიღება ფოსტის საშუალებით. სამწუხაროდ, ეს რთულად განსახორციელებელი პროექტია და ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, – განაცხადა „საქართველოს ფოსტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნია ქირიამ.

„ჯორჯია თუდეი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორის, მაია წერეთლის, თქმით, საფოსტო ყუთების დაყენება კარგი ინიციატივა იქნებოდა და, შესაძლოა, ჟურნალ-გაზეთების გამოწერაც დაეწყო მკითხველს.

პრესისა და წიგნების ონლაინ მაღაზია ელვა.გე-ს დირექტორ ჯული ჭელიძის განცხადებით, კომპანია თავად აპირებს მოსახლეობისთვის ამ სერვისის შეთავაზებას:

– მე საფოსტო ყუთების მომხრე ვარ. ჩვენ თავად ვაკეთებთ საფოსტო ყუთებს და ვაპირებთ, მოსახლეობას შევთავაზოთ.

რამდენიმე ახალაშენებულ კორპუსში უკვე გამოჩნდა საფოსტო ყუთები. მ2-მა აღადგინა ძველი ტრადიცია და იპოდრომთან აშენებული საცხოვრებელი კომპლექსის ყველა სადარბაზოში ბრენდირებული საფოსტო ყუთები დაამონტაჟა.

საფოსტო ყუთების საჭიროებას ვერ ხედავენ „სითი პარკში.“ „სითი პარკის“ წარმომადგენლის, ლევან ტაბიძის თქმით, ამის აუცილებლობა მათ არ აქვთ:

– ჩვენ არ ვარიგებთ წერილებს, არიგებენ ჩვენი კონტრაქტორი საფოსტო კომპანიები. ჯარიმებს ჩვენ ხელზე ვაბარებთ და საფოსტო ყუთში წერილის დატოვება არ იქნება მიზანშეწონილი. ამავე მეთოდით, ჯარიმა მძღოლებს საქარე მინაზეც ხვდებათ.

მარკეტერი შსს-საც დაუკავშირდა კითხვით, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნებოდა მათთვის საფოსტო ყუთების გამოყენება, თუმცა სამინისტროს რთული ბიუროკრატიული სისტემიდან გამომდინარე, ოფიციალური წერილის გაგზავნა მოითხოვეს.

# ბათუმში ელექტროავტობუსებს ელიან



ბათუმში მალე ელექტროავტობუსებს შემოიყვანენ.

ამ დროისთვის მოლაპარაკებები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მიმდინარეობს.

როგორც ბათუმის მერიის მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმძღვანელმა პაატა დუმბაძემ ბიპიენთან საუბრისას განაცხადა, იბიარდთან მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობს, თუმცა უწყებაში სხვა დეტალებს ამ ეტაპზე არ ასაჯაროებენ.

– ჩვენ ვმუშაობთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. ხელშეკრულება ჯერ გაფორმებული არ არის, მიმდინარეობს სამუშაო პროცესი, შეიძლება ითქვას, დასკვნით ეტაპზე ვართ. თუმცა დამატებითი ინფორმაცია კონფიდენციალურია. შედეგები, სავარაუდოდ, ერთ თვეში გახდება ცნობილი, – აღნიშნა პაატა დუმბაძემ.

**ბიპიენი**

# მიხეილ დუნდუა: „ლარი არ გაუფასურდება“



ორგანიზაცია „2030“-ის წევრის, ეკონომისტ მიხეილ დუნდუას განცხადებით, ივლისის თვეში ლარის კურსის მკვეთრ გაუფასურებასა და მკვეთრ გაუმჯობესებას არ უნდა ველოდეთ.

მისი თქმით, ვალუტის კურსის ცვლილება დამოკიდებულია საგარეო ვალის დაფარვის მიმდინარეობაზე, რაც კომერციული ბანკების მხრიდან რიტმულად და თანაბარზომიერად მიმდინარეობს.

– ვალის გადახდა რიტმულად მიმდინარეობს. კომერციული ბანკები თანაბარზომიერად ახდენენ დოლარის შესყიდვასა და ვალის მომსახურების უზრუნველყოფას. კომერციული ბანკების ინტერესია, რომ ლარი არ გაუფასურდეს, რადგან მათ გაურთულდებათ და გაუძვირდებათ ვალის მომსახურება. ისინი მიმდინარე თვის განმავლობაში თანაბარზომიერად ახორციელებენ ლარის შესყიდვებს. შესაბამისად, ლარის კურსი სტაბილურად არის 2.34-2.35-ის მიდამოში, – განაცხადა მიხეილ დუნდუამ.

**ნიუსპრესი**

# აფხაზეთში პრემიერ მიქვაბიას უნდობლობას უმზადებენ

## რუსეთი სოხუმს ვალდებულებების შესრულებას ჰპირდება

მარიამ მჭედლიშვილი

**ანექსირებულ აფხაზეთში ისევ მიუბრუნდნენ დე ფაქტო პრემიერ არტურ მიქვაბიასთვის უნდობლობის გამოცხადების თემას.**

აპრილში ეს საკითხი დეპუტატმა ალმას ჯაპუამ წამოჭრა, მაგრამ შემდეგ მისი გადატანა მოითხოვა. მისი განმარტებით, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე არტურ მიქვაბიას უნდობლობა უნდა გამოეცხადოს რესპუბლიკაში გამეფებული კორუფციისა და ჩავარდნილი პასპორტიზაციის გამო.

ალმას ჯაპუა აღნიშნავს, რომ კორუფციამ მოიცვა აფხაზეთის ეკონომიკა, სოციალური სფერო და მმართველობის სისტემა.

ახალი პასპორტების გაცემა მარტიდან უნდა დაწყებულიყო. პასპორტის ფასი 450 რუბლია. 3 ივნისისთვის გაცემული იყო მხოლოდ 23 პასპორტი. ამის შემდეგ პრეზიდენტმა ხაჯიმბამ განაცხადა პასპორტიზაციის დაჩქარების აუცილებლობის შესახებ. მისმა მოწოდებამ პასპორტიზაცია ვერ დააჩქარა. ეს პროცესი 10 ივლისის რეფერენდუმის წინ საერთოდ შეჩერდა. გაცხადდა, რომ ის რეფერენდუმის შემდეგ განახლდება. რეფერენდუმის მონაწილეებს უფლება მიეცათ, წარმოედგინათ ძველი პასპორტები.

პასპორტიზაციას განსაკუთრებული პრობლემები ხვდება გალის რაიონში. იქაურ ქართველობას, ამჟამად, ფაქტობრივად, არ გააჩნია საბუთები. აფხაზეთის გენერალური პროკურატურა ამთავრებს იმ საქმის გამოძიებას, რომელიც ეხება პასპორტების უკანონო გაცემას გალისა და ტყვარჩელის რაიონებში.

პროკურატურის დასკვნით, გალისა და ტყვარჩელის რაიონების ადმინისტრაციის უფროსებმა ბესლან არშბამ და თემურ გოგუამ პასპორტების დარიგებისას 2007-2014 წლებში უფლებამოსილებას გადაამეტეს და უკანონოდ დაურიგეს აფხაზეთის პასპორტები საქართველოს მოქალაქეებს.

მარტო გალის რაიონში დარღვევით 15 ათასამდე პასპორტი გაიცა. აფხაზეთის კანონმდებლობა ორმაგ მოქალაქეობას მარტო რუსეთის ფედერაციასთან უშვებს.

ბესლან არშბას და თემურ გოგუას ან ჯარიმა დაეკისრებათ, ან 3-დან 7 წლამდე პატიმრობა.

მოსკოვმა აფხაზეთს ახალი გარანტიები მისცა. რუსეთში ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდეგ აფხაზეთი ველარ იღებდა სრულ დაპირებულ დაფინანსებას რუსეთიდან.

დაახლოებით ორი თვის წინ რუსეთის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ამ მხრივ არავითარი შეფერხება არ იქნება. ორი დღის წინ ასეთივე დაპირება ანექსირებულ აფხაზეთს რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვმაც მისცა.

მისი მტკიცებით, არ შემცირდება აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამა, რომელიც 2015-2017 წლებზეა გათვლილი. სულ ამ პროგრამით 9,3 მილიარდი რუბლია გათვალისწინებული.

ამ ფულით იგება გზები, რემონტდება ლიფტები და სხვა.

სურკოვის თქმით, რუსეთში შექმნილი სიტუაციისა და საბიუჯეტო პროგრამების შემცირების მიუხედავად, აფხაზეთის წინაშე აღებული ვალდებულებები შესრულდება.

რუსეთი ანექსირებულ მხარესთან სამხედრო თანამშრომლობასაც აღრმავებს. რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში სარატიფიკაციოდ შეტანილია შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა



და აფხაზეთს შორის ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შესახებ.

ამ დაჯგუფების მიზანია, ადეკვატური რეაგირება მოახდინოს რომელიმე მხარეზე შეიარაღებული თავდასხმის და სხვა საფრთხეების დროს.

გაერთიანებულ დაჯგუფებაში შედიან აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზა, აფხაზური მხარის 2 მოტომსროლელი ბატალიონი, საარტილერიო და საავიაციო ჯგუფები და სპეცდანიშნულების რაზმი.

# „რუსეთს მიაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური სახელმწიფო სამხედრო ბლოკის წევრობის გარეშე“

სოსო ზაალიშვილი



## იგორ მოროზოვი: „საქართველოსთან ნებისმიერი საკითხის განხილვისთვის მზად ვართ“

იგორ მოროზოვი რუსეთის სახელმწიფოს სენატის წევრია. იგი ტერორიზმის საფრთხეებისა და ეკონომიკური რისკების შემცირების თემაზე მუშაობს. მოროზოვი დაგვთანხმდა ინტერვიუს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებისა და ჩვენს რეგიონში შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური რეალობის შესახებ.

– მსოფლიოში გაზრდილი ტერორისტული საფრთხე ადასტურებს, რომ აუცილებელია ურთიერთობების დამყარება დაპირისპირებულ მხარეებს შორისაც, რათა ერთობლივად მოხდეს ტერორიზმის საფრთხეების თავიდან აცილება. ვგულისხმობ საქართველო-რუსეთის თანამშრომლობას უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც შესაძლოა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული სხვა პრობლემების მოგვარების გზის პოვნაში გადაიზარდოს.

– ტერორიზმის ბოლოდროინდელმა ტალღამ ევროპის ქვეყნების მოსახლეობა და ლიდერები, ასევე სპეცსამსახურების ხელმძღვანელები შოკის მდგომარეობაში ჩააგდო.

ისინი მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ საკუთარი ქვეყნების ტერიტორიაზე ომისთვის. ამას ადასტურებს პარიზსა და ბრიუსელში, აგრეთვე ნიცაში მომხდარი საშინელი მკვლელობები. რამდენიმე ასეული სრულიად უდანაშაულო ადამიანი განადგურდა და უფრო მეტი დაიჭრა.

რუსეთმა მაგალითი აჩვენა მსოფლიოს, თუ როგორ უნდა ებრძოლო ტერორიზმს. ჩვენ არ უნდა ველოდოთ, სანამ ტერორისტები მოსკოვსა ან სხვა ქალაქებზე მიიტანენ შეტევას. ისინი მათივე დისლოკაციის ადგილებზე უნდა განადგურდნენ. მაგალითად, სირიასა და ერაყში, სადაც ისლამური სახელმწიფოს ძირითადი მებრძოლები არა კონცენტრირებული.

აუცილებელია, მათ ფინანსური რესურსები შევუზღუდოთ. ტერორისტული საქმიანობა კარგად ფინანსდება და არავის უნდა შეეძლოს, ტერორისტებსა და მათი ოჯახის წევრებს ფინანსური ბონუსები გამოუყოს უდანაშაულო ადამიანების, ბავშვების მკვლელობისათვის.

რუსეთის საჰაერო კოსმოსური ჯარის ნაწილები ამ საქმიანობითაა დაკავებული სირიის ტერიტორიაზე. ვანადგურებთ როგორც ისლამური სახელმწიფოს, აგრეთვე ჯაბჰატ ან-ნუსრასა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების ცოცხალ ძალას და ტერორიზმის დაფინანსების ინფრასტრუქტურას.

მიუხედავად ტერორიზმთან ბრძოლაში და სხვა მრავალ საკითხში არსებული სხვაობისა, რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მჭიდროდ თანამშრომლობენ ისლამურ სახელმწიფოს წინააღმდეგ ომში.

თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია. თუ გავიხსენებთ ისტორიას, ძმები ცერნაევების ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირის შესახებ ინფორმაცია რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა მიაწოდა ამერიკულ მხარეს. სამწუხაროდ, მათ იგნორირება გაუკეთეს სიგნალს, რამაც შედეგად ბოსტონის ტერაქტი მოიტანა.

ანალოგიური სიტუაცია იყო სტამბულშიც. თურქებმაც იგნორირება გაუკეთეს ინფორმაციას და აქაც სამწუხარო შედეგი მივიღეთ. ვფიქრობ, რომ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა მართლაც მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელობამ უნდა ითანამშრომლონ, რათა საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეებს თავიდან ავარიდოთ ტერორიზმისგან მომავალი საფრთხეები.

***– რუსეთისთვის, რომელიც ატომური კლუბის წევრია, გააჩნია ბირთვული იარაღის არცთუ მცირე პოტენციალი, რატომ წარმოადგენს საფრთხეს ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოება?***

– თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის დათბობისას გასული საუკუნის 80-90-იან წლებში გორბაჩოვს პირობა მისცეს, რომ ნატო აღმოსავლეთისკენ არ გაფართოვდებოდა.

ასეთი პოზიცია ჰქონდა ამერიკის პრეზიდენტ რონალ რეიგანს და ამ პოზიციის ერთგული რჩებოდა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უფროსი. კლინტონის ეპოქიდან კი ნატომ აღმოსავლეთისკენ გაფართოება, ანუ რუსეთის ყოფილი მოკავშირეებისა და ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესი წამოიწყო. ვგულისხმობ ბალტიისპირეთის ქვეყნებს.

ამის შემდეგ 2014 წელს, აშშ-მა უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალება დააფინანსა და მხარი დაუჭირა. მათ გვაიძულეს, მიგვეღო ადეკვატური ზომები და დაგვეცვა ჩვენი სტრატეგიული ინტერესები.

ჩვენთვის მიუღებელია ნატოს მოახლოება რუსეთის საზღვრებთან, რადგან თანამედროვე სარაკეტო დანადგარები და შეიარაღება საპასუხო დარტყმისთვის მცირეოდენ დროსა და შესაძლებლობას ტოვებს. ამიტომ ჩვენ გასაგებად ჩამოვაყალიბეთ საკუთარი პოზიცია, რომ ნატოს რუსეთის საზღვრებთან მოახლოებას არ დავუშვებთ.

ეს ჩვენს უსაფრთხოებას ეხება. ამიტომ რუსეთს მიაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური სახელმწიფო სამხედრო ბლოკის წევრობის გარეშე და ამ პირობებზე ააგოს ურთიერთობა რუსეთთან, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრებთან და სხვა პარტნიორებთან.

რაც შეეხება პოლიტიკური დაპირისპირების საკითხებს, ეს ყველა პრობლემა შესაძლოა მოლაპარაკებებით გადაიჭრას.

– რას ფიქრობთ თურქეთში მიმდინარე პროცესების შესახებ? ვგულისხმობ ერდოღანის მიერ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებისკენ გადადგმულ ნაბიჯს, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას და გახშირებულ ტერორისტულ აქტებს.

– თურქეთში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ 21-ე საუკუნეში ხელისუფლების ასეთი სახით ცვლილების ფორმა კვლავაც აქტუალურია და შედეგად მრავალი ადამიანის მსხვერპლი და სოციალური პრობლემები მოჰყვება.

ჩვენ ამას ვხედავთ უკრაინაში, ვხედავთ თურქეთშიც. რუსეთი ხელისუფლების ძალადობით შეცვლის კატეგორიული წინააღმდეგია. ამის შესახებ არაერთხელ უთქვამს პრეზიდენტ პუტინს უკრაინასთან დაკავშირებით, სადაც სახელმწიფო გადატრიალებამ გამოიწვია სამოქალაქო ომი და მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებში.

თურქეთში გადატრიალება ჩაახშეს, მაგრამ ამ მოვლენას დიდი ხნის მანძილზე ექნება გამოძახილი. ვფიქრობ, თურქეთში ახალი სამხედრო რეფორმა ჩატარდება, რომელსაც აუცილებლად თან სდევს მრავალრიცხოვანი რეპრესიები, ეკონომიკური კრიზისი, ტურისტული ინფრასტრუქტურის განადგურება, დაძაბული ურთიერთობები ევროკავშირთან და ნატოს წევრ ქვეყნებთან. ამას მოჰყვება, აგრეთვე, პანთურქული და პანისლამური ძალების გააქტიურება და ისლამური სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არაერთი ტერაქტი.

ნამდვილად არაა შესაშური პერსპექტივა, მაგრამ ეს თურქული პოლიტელიტის და პოლიტიკური ტენდენციების შედეგია.

***– ასეთ ვითარებაში ეკონომიკური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის მეტად მნიშვნელოვანია რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. თუ საქართველო და რუსეთი შეძლებენ ამ ურთიერთობების აღდგენას, დაეხმარება თუ არა ეს ორ ქვეყანას სხვა საკითხების მოგვარებაშიც?***

– ეკონომიკური თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის შედარებით დარეგულირდა. ეს, პირველ რიგში, საქართველოსა და რუსეთის აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესებს შეეტყო. არაა საიდუმლო, რომ მრავალი რუსი ბიზნესმენი საქართველოს აგრარულ სექტორში აკეთებს ინვესტირებას, მეტწილად ღვინოსა და ღვინომასალების წარმოების სფეროში. არის სხვა ეკონომიკური მიმართულებებიც, რომლებიც რუსეთისთვის საინტერესოა. მაგალითად, ენერგეტიკა და მაღალი ტექნოლოგიები, მაგრამ ამაზე უახლოეს მომავალში შეიძლება ვისაუბროთ.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი ჩვენთვის მიმზიდველია. წელს ძალიან ბევრი ტურისტი ჩადის საქართველოში, ესეც ერთგვარი ინვესტიციაა საქართველოს ეკონომიკაში. უკან დაბრუნებულნი აღნიშნავენ, თუ რა კარგად მიიღეს ისინი საქართველოში, რაც თქვენს ქვეყანაში სტუმრობის მსურველთა რიცხვს ერთიორად ზრდის. ის ფაქტი, რომ საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მოწესრიგებას.

***– ისლამური სახელმწიფო აფრთხილებდა ევროპის ლიდერებს, რომ შეტევას მიიტანდა ევროპის ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე. რათა ანტიტერორისტული კოალიციის წევრი ქვეყნების ტურისტები გაენადგურებინათ. წელს რუსეთიდან საქართველოში ბევრ ტურისტს ელიან. არსებობს თუ არა საფრთხე, რომ ტერორისტებმა მათზე მიიტანონ შეტევა და თუ არსებობს, როგორ დაიცავს რუსეთის სახელმწიფო თავის მოქალაქეებს?***

– საქართველო არ შედის რისკის ქვეყნების რიგში. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით და ღმერთმა ქნას, არც არასდროს გახდეს. ტურისტების რაოდენობა, შესაძლოა, მართლაც გაიზარდოს და რაიმე პრობლემების თავიდან არიდების მიზნით აუცილებელია თანამშრომლობა გარკვეულ საკითხებში პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით.

ვფიქრობ, რომ საქართველოს მთავრობის შეცდომაა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთი კონტაქტი არ არსებობდა. ნებისმიერი საკითხის განხილვისთვის მზად ვართ მოლაპარაკებების მაგიდასთან. რაც მთავარია, რუსულ მხარეს ასეთი შეხვედრისთვის მზაობა გააჩნია.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

2016, 21 ივლისი, №171

# კიევში ჟურნალისტი პავლე შერემეტი ააფეთქეს



უკრაინის დედაქალაქში ჟურნალისტი პავლე შერემეტი მოკლეს.

ასაფეთქებელი ნივთიერება მას მანქანაში ჩაუდეს. აფეთქება მაშინ მოხდა, როცა შერემეტი სამსახურში მიდიოდა.

პავლე შერემეტი 1971 წელს მინსკში დაიბადა. ის იყო რუსეთის ტელევიზიის ჟურნალისტი, პარალელურად „დელოვაია გაზეტაშიც" მუშაობდა. ის მწვავედ აკრიტიკებდა ალექსანდრე ლუკაშენკოსა და მის რეჟიმს. ამის გამო ბელარუსის ხელისუფლებამ მისი დევნა დაიწყო.

შერემეტი იძულებული გახდა, გადახვეწილიყო უკრაინაში. აქ ის მუშაობდა გაზეთ „უკრაინსკა პრავდაში." შემდეგ რადიო „თავისუფლებაში" მიიწვიეს. შერემეტი დონბასის ომის დაწყების შემდეგ ყველაფერს აკეთებდა კონფლიქტის განმუხტვისა და რუსეთ-უკრაინას შორის დიალოგის დასაწყებად. შერემეტი მონაწილე იყო პროექტისა, რომლის მიზანიც რუსულ-უკრაინული კონფლიქტის მოგვარება იყო.

– შერემეტის მკვლელობა პირად კონტროლზე ავიყვანე. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა მკვლელი, ან მკვლელები, რაც შეიძლება სწრაფად გამოვავლინოთ, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროსის ხატია დეკანოიძის განცხადებით, მისთვის ჟურნალისტ პაველ შერემეტის დაღუპვის საქმის გამოძიება ღირსების საკითხია.

ამის შესახებ დეკანოიძემ ადგილობრივ ჟურნალისტებს განუცხადა.

– პაველ შერემეტი ჩემი კარგი ნაცნობი იყო, ის იყო პირველი ადამიანი, ვისაც ინტერვიუ მივეცი.

ის ძალიან კარგი ჟურნალისტი იყო, ამიტომ ჩემთვის ეს ღირსების საკითხია, – განაცხადა დეკანოიძემ.

# იუნკერსი: „დღეს დონბასში არჩევნების ჩატარება შეუძლებელია"



ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟან-კლოდ იუნკერსმა განაცხადა, რომ დონბასში ქაოსმა, განუკითხაობამ და ძალადობამ დაისადგურა.

– ასეთ სიტუაციაში არჩევნების ჩატარება უბრალოდ შეუძლებელია, – თვლის იუნკერსი.

ევროკომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია თუნდაც ელემენტარული წესრიგის უზრუნველყოფა და ნორმალური საარჩევნო გარემოს შექმნა.

– უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები დონბასში ვერ ჩატარდება, – ამბობს იუნკერსი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ვიკილიქსმა თურქეთის მმართველი პარტიის წევრთა 290.000 წერილი გამოაქვეყნა

## თურქეთმა ვიკილიქსი დაბლოკა



ვიკილიქსის პორტალმა თურქეთის მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის 290.000 წერილი გამოაქვეყნა.

ორგანიზაციის ცნობით, დაგეგმილია სულ 500.000 დოკუმენტის და 300.000 ელექტრონული წერილის გასაჯაროება.

გუშინ გამოქვეყნებული ელექტრონული წერილები ეხება საერთაშორისო საკითხებს და ნაკლებად შეიცავს თემებს თურქეთის შიდა პოლიტიკაზე.

გასაჯაროებული დოკუმენტების თანახმად, ბოლო ელექტრონული შეტყობინება გაგზავნილი იყო მიმდინარე წლის 6 ივლისს, ყველაზე ძველი კი 2010 წლით არის დათარიღებული.

ვიკილიქსმა თურქეთის მმართველი პარტიის ელექტრონული წერილების და დოკუმენტების გასაჯაროება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ ქვეყანაში მასობრივი დაკავებები დაიწყო.

გუშინვე თურქეთის ხელისუფლებამ ვიკილიქსის პორტალთან წვდომა დაბლოკა. თურქეთის კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების საკითხთა საბჭომ განაცხადა, რომ ვებგვერდის წინააღმდეგ ადმინისტრაციული ზომების შემოღების გადაწყვეტილება მიიღო.

ტვიტერის მიკრობლოგში ვიკილიქსის ადმინისტრაციამ პორტალთან წვდომის დაბლოკვა დაადასტურა.

# ბაქოში დახურეს გიულენთან დაკავშირებული კავკასიური უნივერსიტეტი



ბაქოში დახურეს კერძო კავკასიური უნივერსიტეტი, რომელიც, სავარაუდოდ, აშშ-ში მცხოვრებ მქადაგებელის ფეთჰულა გიულენის სახელს უკავშირდება.

ცნობილი აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ხადიჯა ისმაილოვა ტვიტერის საკუთარ მიკრობლოგში წერს, რომ აღნიშნული უნივერსიტეტი აზერბაიჯანში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

კავკასიური უნივერსიტეტი 1993 წელს თურქმა მეწარმეებმა დააფუძნეს. მისი დამფუძნებლები გიულენთან დაკავშირებული პირები არიან, ხოლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სპონსორი კომპანია სოკარია.

2014 წელს აზერბაიჯანის მთავრობამ სახელმწიფო უწყებებიდან დაიწყო იმ თანამშრომლების დათხოვნა, რომლებიც გიულენთან იყვნენ კავშირში და აღნიშნული გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, თურქეთის თხოვნით მიიღო.

# თურქეთში ყველა პედაგოგს და მეცნიერს ქვეყნის დატოვება აეკრძალა



თურქეთში მოღვაწე ყველა პედაგოგს და მეცნიერს ქვეყნის დატოვება აეკრძალა.

როგორც დასავლური მედია იტყობინება, თურქეთის განათლების საბჭომ განაცხადა, რომ აღნიშნული აკრძალვა „განსაკუთრებული ბრძანების მიღებამდე" იმოქმედებს.

თურქეთის მთავრობამ აკრძალვა სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ შემოიღო.

განათლების საბჭოს განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ მეცნიერები, რომლებიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფებიან, სამშობლოში დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდნენ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# საქართველო ყირიმის წინააღმდეგ სანქციების გახანგრძლივებას შეუერთდა



საქართველო შეუერთდა ევროკავშირის გადაწყვეტილებას, გააახანგრძლივოს სანქციები ყირიმისა და სევასტოპოლის წინააღმდეგ 2017 წლის 23 ივნისამდე.

ამის შესახებ ევროკავშირის საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, წერს უკრაინული მედია.

ევროკავშირის გადაწყვეტილებას ასევე შეუერთდნენ – მონტენეგრო, ალბანეთი, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და უკრაინა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი მიესალმება აღნიშნული ქვეყნების მიერ აღებულ ვალდებულებებს სანქციების შესრულების თაობაზე.

ევროკავშირის საბჭომ ყირიმისა და სევასტოპოლის წინააღმდეგ სანქციების გახანგრძლივება 17 ივნისს გადაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ სანქციები ყირიმსა და სევასტოპოლის წინააღმდეგ პირველად 2014 წლის ივნისში დაწესდა.

*მედიანიუსი*

## განცხადებები

● ვაქირავებ საკუთარ სახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43.

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7" – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".

# გულშემატკივარმა მესის გამო კილომეტრი გაცურა



ფეხბურთის 24 წლის გულშემატკივარმა, სულიმ, ერთი კილომეტრი გაცურა იმისთვის, რომ ლიონელ მესის იახტამდე მიეღწია და არგენტინელ ვარსკვლავთან ერთად ფოტო გადაეღო.

სული მადრიდის ატლეტიკოს გულშემატკივარია. ის იბიცაზე იმ დროს ისვენებდა, როდესაც ლიონელ მესი და კრიშტიანუ რონალდუ იქვე იმყოფებოდნენ. ესპანელმა გულშემატკივარმა პორტუგალიელს ყურადღება არ მიაქცია, მესის იახტამდე მისაღწევად კი კილომეტრი გაცურა და თან მობილური ტელეფონი წაიღო.

ლეო მესიმ გულშემატკივარი იახტაზე მიიწვია და წვენზე დაპატიჟა. მათ ისაუბრეს, სურათი გადაიღეს და არგენტინელმა სულის ნაპირზე დასაბრუნებლად ტრანსპორტი შესთავაზა, მაგრამ მან უკან თავად გაცურა.

# ამერიკული პრესა: „გოლდენ სტეიტი ყაჩაღია“

ამერიკული პრესა ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტ უორიორზში გადასვლას ძარცვას უწოდებს. ამას ქართველი კალათბურთელის საკონტრაქტო თანხიდან გამომდინარე ამტკიცებს.

ოკეანისგაღმელთა აზრით, ნბას თავისუფალ აგენტთა ბაზარზე 5 საუკეთესო ტრანსფერს შორის ზაზა ფაჩულიას მეომართა რიგებში გადასვლა პირველ ადგილზეა.

მართალია, უორიორსმა სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე დიდი პრიზი, კევინ დურანტი მიიღო, მაგრამ ამ ტრანსფერს შეეწირა ცენტრი ენდრიუ ბოგუტი, რომელიც ფაჩულიას ყოფილ კლუბ დალასში გადავიდა.




ბოგუტის წასვლით გოლდენ სტეიტი ძირითადი ცენტრის გარეშე დარჩა და იაფი ცენტრის პოვნას შეუდგა. თუმცა, მეომრებმა უკეთეს ვარიანტს მიაგნეს და იპოვეს სტარტერი, რომელსაც ბოგუტის შეცვლა შეუძლია. ეს საქართველოს ნაკრების კაპიტანია, რომლის დასაბევებლად გადახდილ 2,9 მლნ დოლარს ლიგის ყველაზე მომგებიან გარიგებად მიიჩნევენ.

– ფაჩულია ამ ფასზე სულ მცირე, ორჯერ უკეთესი ცენტრია. გამოდის, რომ გოლდენ სტეიტმა ძალიან მოიგო, ეს ძარცვაა, – წერს ამერიკული მედია.

## შედეგები

19 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ალაშკარტი-დინამო (თბ) | 1:1 |
| ლიეპაია-ზალცბურგი | 0:2 |
| აპოელი-ტნს | 3:0 |
| სიენეიოკი-ბატე | 2:2 |
| შერიფი-ბეერ შევა | 0:0 |
| კოპენჰაგენი-კრუზეიდერსი | 6:0 |
| ცრვენა ზვეზდა-ვალეტა | 2:1 |
| ლეგია-ზრინსკი | 2:0 |
| პოდგორიცა-ლუდოგორეცი | 0:3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# 20 წლამდე ნაკრები მეტოქეებს არ ინდობს

საბერძნეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში პირველი მარცხის შემდეგ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები მეტოქეებს აღარ ინდობს. ჩერნოგორიელებთან წაგების შემდეგ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად ქართველებმა პორტუგალიას 27 ქულით აჯობეს და ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს.

ჩერქეზიშვილის გუნდმა ქართული ნაკრებების ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული შედეგი დააფიქსირა. საქმე ეხება ერთ კონკრეტულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ქართველებმა მეტოქეს მხოლოდ 1 ქულა ჩააგდებინეს, თავად კი 29 მიითვალეს და მატჩის ბედი ფაქტობრივად დიდი შესვენებისთვის გადაწყვიტეს.

არადა, პორტუგალიამ თამაში შედეგიანად დაიწყო და სადებიუტო წუთებში ლიდერობაც მოიპოვა. ლუზიტანიელებმა პირველი პერიოდი 17:13 მოიგეს, მაგრამ მეორე პერიოდიდან ქართველებმა არნახულად ზუსტი, გამართული და შედეგიანი თამაში აჩვენეს. გუნდური მოქმედებით საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს 10-წუთეული 29:1 მოუგო და 4-ქულიანი ჩამორჩენა 24-ქულიან ლიდერობად აქცია.

აქ კი ყველაფერი გაირკვა. ასეთი გამანადგურებელი 10-წუთეულის შემდეგ პორტუგალიელები გონზე რომ ვერ მოვიდოდნენ, ცხადი იყო. საქართველოს ნაკრებმა დარჩენილ დროში კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა და საბოლოოდ 82:55 გაიმარჯვა.




# ანჩელოტის ლევანდოვსკი არ ეთმობა

მადრიდის რეალი ისევ არ ეშვება მიუნხენის ბაიერნის ფორვარდ რობერტ ლევანდოვსკის, რომლის გადაბირებით დიდი ხანია მოწადინებულია. თუმცა, ფეხბურთელი არც ბავარიულ კლუბსა და მის მთავარ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ეთმობა.

**კარლო ანჩელოტი:**

– რაში სჭირდება რეალს ლევანდოვსკი, როდესაც გარეთ ბეილი, კარიმ ბენზემა და რონალდუ ჰყავს. მათ დაემატა ალვარო მორატაც. გუნდში არის ლუკას ვასკესი და ხესე როდრიგესი. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ცხრიანს ვერ შეველევი.

ლევანდოვსკის მიუნხენელებთან კონტრაქტი 2019 წელს ეწურება და



ბაიერნის ხელმძღვანელობა პოლონელს ახალ, 2-წლიან კონტრაქტს შესთავაზებს.

ახალი კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელი ხელფასის სახით წელიწადში 15 მილიონ ევროს მიიღებს. ამჟამად ლევანდოვსკის ხელფასი წელიწადში 9 მილიონია.

ანჩელოტიმ ალვარო მორატაზეც ისაუბრა, რომელიც იჯარის შემდეგ იუვენტუსიდან დაუბრუნდა მადრიდულ კლუბს:

– სხვათა შორის, ალვარო მორატა მე აღმოვაჩინე, როდესაც რეალში ვმუშაობდი. მას შანსს არ აძლევდნენ, მაგრამ მთავარ გუნდში გადმოვიყვანე და საკუთარ ძალებში დავარწმუნე. მორატას იუვენტუსში გადასვლაც მე ვურჩიე, ვინაიდან ვიცოდი, რომ სერია ა-ში ფეხს მოიკიდებდა.

# რუსების ოლიმპიადაზე წასვლას დღეს გადაწყვეტენ




დღეს გადაწყდება, მოკვეთენ თუ არა რუსეთის დელეგაციას რიოს ოლიმპიადიდან სრულად. ვერდიქტი 2 დღის წინ უნდა გამოცხადებულიყო, რომელიც დამოუკიდებელმა ექსპერტმა, კანადელმა იურისტმა რიჩარდ მაკლარენმა მოამზადა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა სატელეფონო კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტეს, რუსეთის დელეგაცია დაუყოვნებლივ არ მოეკვეთათ, თუმცა ამავე დროს რუსეთის წინააღმდეგ მთელი რიგი შეზღუდვები დააწესეს.

მაკლარენის მოხსენებაში დეტალურად არის აღწერილი დოპინგის სისტემატიური მოხმარების ფაქტები რუსი სპორტსმენების მიერ. რაც მთავარია, მოხსენების თანახმად, ყველაფერი სახელმწიფო დონეზე კონტროლირდებოდა.

აქედან გამომდინარე, ოლიმპიური კომიტეტი შეისწავლის რუსეთის დელეგაციისთვის ოლიმპიადაზე გამოსვლის კოლექტიური აკრძალვის მექანიზმს. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის დელეგაციის მოკვეთის საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია, თუმცა ცალკეული რუსი სპორტსმენების ინდივიდუალურად დაშვებას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ გამორიცხავს.

დღეს ლოზანის სპორტული არბიტრაჟი შეიკრიბება და 68 რუსი მძლეოსნის ინდივიდუალურ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილებას გამოაცხადებს.

შესაძლოა, რამდენიმე მათგანი ოლიმპიადაზე დაუშვან. თუმცა, აუცილებლად გაითვალისწინებენ საერთაშორისო ანტიდოპინგურ კოდექსს და ოლიმპიური ქარტიის შესაბამის პუნქტებს.



# „შავ ზღვაზე რუსეთის სტრატეგიულ უპირატესობას ნატო არ დაუშვებს“

გულიკო ბალაძე

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია ჩუსეთისთვის შეზღუდვების დაწესებას მოითხოვს.**

– იმ შავი ზღვისპირა სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს შეიარაღებულ აგრესიას სხვა შავი ზღვისპირა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ახდენს მისი ტერიტორიის ოკუპაციას და ანექსიას, უნდა ჩამოერთვას შავი ზღვის სრუტეებში როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო გემების თავისუფლად გატარების უფლება, – აცხადებს ჯემალ გამახარია.

***– ბატონო ჯემალ, შავ ზღვაზე რუსეთისთვის შეზღუდვის დაწესებას მოითხოვთ?***

– დიახ. შავი ზღვა საერთაშორისო მნიშვნელობის სამხედრო-ეკონომიკურ არტერიად რჩება, უკანასკნელი წლებში კი დასავლეთისა და რუსეთის მძაფრი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ასპარეზი გახდა. სამწუხაროდ, ნატომ გვიან მიაქცია ყურადღება შავ ზღვაზე რუსეთის სასარგებლოდ შექმნილ ახალ რეალობას. ეს საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ ყირიმის ანექსიის შემდეგ დაისვა.

***– რუსეთს სურს, შავი ზღვისპირა ქვეყნები აკონტროლოს.***

– დიახ, რუსეთის მიზნები აღნიშნულ რეგიონში სავსებით ნათელი იყო აფხაზეთის ოკუპაციის დროსაც, რითაც, ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო საქართველოს შავი ზღვისპირეთის 200 კილომეტრიანი მონაკვეთი. ოკუპირებული ტერიტორია სულ მალე რუსეთის მძლავრ სამხედრო ბაზად გადაიქცა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ნატოს წინააღმდეგაა მიმართული.

***– ნატოს გემები ხომ ჩნდებიან ხოლმე შავ ზღვაში?***

– აუცილებელია შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხის განხილვა. ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი არ განუხილავს და არც სათანადო ზომები მიუღია. ყირიმის ანექსიამ, მისმა შემდგომმა მილიტარიზაციამ, შავი ზღვის რუსული ფლოტის კიდევ უფრო გაძლიერებამ ნახევარკუნძულზე, სამხედრო-კოსმოსური და სახმელეთო ძალების თვისობრივად ახალი დაჯგუფების შექმნამ, ნატოს საპასუხო ზომების მიღებისკენ უბიძგა.

***– რუსეთის უპირატესობის საპირწონედ ნატო არ მოქმედებს?***

– რუსეთის აშკარა უპირატესობის საპირწონედ, ჯერჯერობით, ვხედავთ ამერიკის სამხედრო ხომალდების გახშირებულ ვიზიტებს შავი ზღვის პორტებში. 2016 წლის იანვარში რუმინეთმა გააჟღერა ინიციატივა ნატოს წევრი შავი ზღვისპირა ქვეყნების (თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი) ერთობლივი ფლოტილიის შექმნის შესახებ, რომელიც ამერიკის, იტალიისა და გერმანიის სამხედრო ხომალდებით გაძლიერდებოდა. საქართველომ და უკრაინამაც არაერთხელ გამოთქვეს რუმინეთის ინიციატივასთან მიერთების სურვილი. ყველა და-

## ჯემალ გამახარია: „შავი ზღვისპირა სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს აგრესიას სხვა შავი ზღვისპირა სახელმწიფოს წინააღმდეგ, უნდა ჩამოერთვას შავი ზღვის სრუტეებში გემების გატარების უფლება“

ინტერესებული მხარე, რუსეთის ჩათვლით, ელოდა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხზე ნატოს ვარშავის სამიტის გადაწყვეტილებას.

***– მოლოდინი არ გამართლდა?***

– მოლოდინი გარკვეულწილად გამართლდა. სამიტის განცხადებით, რუსეთი ეწევა პროვოკაციულ ქმედებას შავი ზღვის აუზში, იყენებს იქ განლაგებულ სამხედრო პოტენციალს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში საკუთარი ძლიერების დემონსტრირებისთვის, რაც ნატოს ქვეყნებისთვის დამატებითი რისკის ფაქტორს და გამოწვევას წარმოადგენს.

ბოლო წლებში უსაფრთხოების კუთხით ვითარება შავ ზღვაზე გაუარესებულია. ამიტომ ნატო გამოთქვამს მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის, აღნიშნულ საკითხზე გააააქტიუროს დიალოგი საქართველოსა და უკრაინასთან.

***– შავი ზღვის უსაფრთხოების თემა მნიშვნელოვანია, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ არ სცალიათ ამ საკითხისთვის.***

– შავი ზღვის უსაფრთხოების თემა ასახულია ნატო-საქართველოს ერთობლივი კომისიის განცხადებაშიც. ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მიესალმებიან საქართველოს ჩართვას სტრატეგიულ დისკუსიაში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე. ადასტურებენ, რომ ნატო მეტ ყურადღებას მიაპყრობს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას.

***– ჩვენ გვჭირდება კონკრეტული გადაწყვეტილებები ნატოს მხრიდან.***

– ნატოს ვარშავის სამიტის დოკუმენტებში საუბარი არ არის კონკრეტულ ნაბიჯებზე. თუმცა, ისინი შეიცავენ მკაფიო გზავნილებს კრემლისთვის.

***– კონკრეტულად, რა გზავნილებს შეიცავენ?***

– გზავნილები, რომ შავ ზღვაზე არ იქნება დაშვებული რუსეთის სტრატეგიული უპირატესობა. ნატო გააქტიურდება შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების მიმართულებით. ამ პროცესში თავისი ადგილი ექნებათ ალიანსის არაწევრ საქართველოსა და უკრაინას.

***– საინტერესოა, კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება.***

– ეს ჯერ არავინ იცის. არც ის არის ცნობილი, როგორ უნდა გადაილახოს შავ ზღვაში ნატოს ყოფნის გაზრდის ისეთი შემაფერხებელი ფაქტორი, როგორიც არის 80 წლის წინ, 1936 წლის 20 ივლისს, შვეიცარიის ქალაქ მონტროში ხელმოწერილი კონ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

კულტურა

## ანდრია გველესიანმა „სლავიანსკი ბაზარზე“ მესამე ადგილი დაიკავა



მომღერალმა ანდრია გველესიანმა საქართველო ბელარუსის ქალაქ ვიტებსკში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „სლავიანსკი ბაზარ 2016“ წარადგინა.

კონკურსის რთული და დაძაბული საფინალო ტურები ქართველი მომღერლისთვის წარმატებულად დასრულდა.

ანდრიამ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

## მომღერლები გია მაისაშვილის დასახმარებლად ერთიანდებიან



ქართველი მომღერლები გია მაისაშვილის დასახმარებლად ერთიანდებიან.

25 ივლისს კუს ტბაზე საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება.

„თანადგომა გია მაისაშვილს“ – ასე ეწოდება კონცერტს, სადაც ყველას მიეცემა შესაძლებლობა დაეხმაროს გია მაისაშვილს. პოლიტიკოსი ამჟამად ამერიკაში იმყოფება, სადაც ტვინის სიმსივნეს ებრძვის.

გია მაისაშვილის მხარდასაჭერად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ლელა წურწუმია, ლაშა ღლონტი, „ალილო“, ნინი ბადურაშვილი, ეკა მამალაძე, ეკა კვალიაშვილი, ნატალია ქუთათელაძე, გიო ხუციშვილი, ლიზა ბაგრატიონი, მერაბ ვარდოსანიძე, ანსამბლი „მუხამბაზი“, დათო არჩვაძე, ანსამბლი „რუსთავი“, ბენდი „სტუმრები“, ლათინო ბოისი, დათო გველესიანი. საქველმოქმედო საღამოს მსახიობი დუტა სხირტლაძე წაიყვანს.

გია მაისაშვილის მხარდასაჭერ კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია. მაგიდების კი 2 პერსონაზე 30 ლარი, 4 პერსონაზე 100 ლარი, 6 პერსონაზე 150 ლარი და 10 პერსონაზე 250 ლარი.

## 20 წლის შემდეგ „რაჭა, ჩემო სიყვარულოს“ რიმეიკს გადაიღებენ




საპარტნიორო ფონდი და მისი თავმჯდომარე დავით საგანელიძე „რაჭა, ჩემო სიყვარულოს“ რიმეიკის გადაღებას გეგმავს. დავით საგანელიძის თქმით, 1977 წელს გადაღებული ფილმის რიმეიკს საპარტნიორო ფონდი ბრიტანულ-სლოვაკურ საინვესტიციო ფონდთან პარტნიორობით დააფინანსებს.

„რაჭა, ჩემო სიყვარულო 20 წლის შემდეგ“ – ასე ერქმევა ფილმს, რომლის პრემიერაც 1977 წლის 8 ივლისს შედგა. მისი რეჟისორები თემურ ფალავანდიშვილი და იოზეფ მედვედი იყვნენ.

– რადგან სლოვაკეთისა და რაჭის დამეგობრების თემა ვიცით და მაშინ რაჭაში ვიმყოფებოდით, შევთანხმდით, რომ ჯანო კახიძის ბრწყინვალე მუსიკაზე დაწერილი ფილმის „რაჭა, ჩემო სიყვარულოს“ ახალი ვერსიის გადაღება დავაფინანსოთ, – აცხადებს დავით საგანელიძე. ამ ეტაპზე უცნობია, რა მოცულობის თანხას გამოყოფს საპარტნიორო ფონდი ფილმის დასაფინანსებლად.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

საზოგადოება

## „შავ ზღვაზე რუსეთის სტრატეგიულ უპირატესობას ნატო არ დაუშვებს“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ვენცია, რომელიც იმავე წლის 9 ნოემბრიდან ამოქმედდა.

იგი არეგულირებს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის წესებს. დოკუმენტს ხელს აწერენ თურქეთი, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, ავსტრალია და იაპონია.

*– მონტროს კონვენცია ხელისშემშლელი ფაქტორია?*

– მონტროს კონვენციით, ნებისმიერი სახელმწიფოს სავაჭრო გემებს (გარდა თურქეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის გემებისა) მინიჭებული აქვთ შავი ზღვის სრუტეებით თავისუფლად სარგებლობის უფლება როგორც მშვიდობიან, ისე საომარ ვითარებაში. სამხედრო გემებისთვის კი გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული. ძირითადად ის ეხება არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს. მშვიდობიან პერიოდში მათ შეუძლიათ შავ ზღვაში შემოიყვანონ არა უმეტეს 45 ათასი ტონა წყალწყვის გემებისა და იყოლიონ იქ მაქსიმუმ 21 დღის განმავლობაში. შავი ზღვისპირა ქვეყნებისთვის ეს შეზღუდვა არ მოქმედებს.

*– მაშინ ამერიკის გემები როგორ შემოდიან?*

– კონვენციის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა აიძულებს ხმელთაშუა ზღვაში დისლოცირებული ამერიკის საზღვაო ძალების მე-6 ოპერატიული ფლოტის სათანადო კლასის გემებს, შემოვიდნენ შავ ზღვაში მხოლოდ როტაციის წესით.

***– კონვენციაში ცვლილების შეტანა არ შეიძლება –საბჭოთა კავშირი, რომელიც ხელს აწერს ამ კონვენციაზე, 25 წელია, აღარ არსებობს.***

– მომწიფდა საკითხი მონტროს კონვენციაში ცვლილებების შეტანის გზით, არსებული შეზღუდვის მოხსნისა. პროცედურულად ეს შესაძლებელია. კონვენციის მოქმედების ვადის გახანგრძლივება ყოველ 20 წელიწადში ხდება. მიმდინარე წელს მისი მიღებიდან და ამოქმედებიდან 80 წელი სრულდება, რაც მშვენიერი საბაბია კონვენციაში ცვლილებების შესატანად.



ნებისმიერი ცვლილება მონტროს დოკუმენტში პირდაპირ თუ ირიბად ეხება საქართველოს უსაფრთხოებას, ეხება ოკუპირებულ აფხაზეთს და იქ განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებს. ამიტომ ქართულ მხარეს ამ საკითხებზე სერიოზული დაფიქრება მართებს. პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ, რომ ცვლილებების შეტანა მონტროს კონვენციაში არის აუცილებელი, რისი უშედეგო მცდელობები გასული ათწლეულების განმავლობაში არაერთხელ ყოფილა.

*– მაინც რა სახის ცვლილებებზე შეიძლება იყოს საუბარი?*

– ისეთი სახის ცვლილება უნდა იყოს, რაც უფრო მომგებიანი იქნება საქართველოს უსაფრთხოებისთვის. ცვლილებამ ხელი არ უნდა შეუწყობს შავი ზღვის შემდგომ მილიტარიზაციას და სამხედრო დაპირისპირების ესკალაციას, უნდა შეამციროს მილიტარიზაციისა და დაპირისპირების დონე.

შავი ზღვის მილიტარიზაციის დონის შემცირება მომგებიანია რეგიონის, მათ შორის, საქართველოს უსაფრთხოებისთვის, ვიდრე იარაღის ჟღარუნი და ძალის დემონსტრირება. შესაძლო ცვლილებებიც მონტროს კონვენციაში შავ ზღვაში დაპირისპირების თავიდან აცილების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.

*– თქვენ როგორი ცვლილება მიგაჩნიათ მიზანშეწონილად?*

– ჩვენი აზრით, ნებისმიერ შავი ზღვისპირა სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს შეიარაღებულ აგრესიას სხვა შავი ზღვისპირა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ახდენს მისი ტერიტორიის ოკუპაციას და ანექსიას, უნდა ჩამოერთვას შავი ზღვის სრუტეებში როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო გემების თავისუფლად გატარების უფლება. ცხადია, იგივე ნორმა უნდა დაწესდეს ამა თუ იმ შავი ზღვისპირა სახელმწიფოსთან საომარ მდგომარეობაში მყოფი არაშავიზღვისპირა სახელმწიფოს მიმართაც.

*– მონტროს კონვენცია საომარ ვითარებასთან დაკავშირებით შეზღუდვებს არ ითვალისწინებს?*

– მონტროს კონვენცია შეიცავს შეზღუდვებს საომარი ვითარების დროს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობისას. ისინი საკმაოდ საიმედოდ იცავენ თურქეთის ინტერესებს. ნაკლებად ან საერთოდ არ იცავენ დანარჩენი შავი ზღვისპირა სახელმწიფოების, მათ შორის, თურქეთის მოკავშირეთა ინტერესებს.

კონვენციის ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გასწორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია შავ ზღვაში სამხედრო დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია, რაც არავის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

## უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს კენჭს სექტემბერში უყრიან



უზენაეს სასამართლოში ვაკანტურ თანამდებობებზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მოსამართლეობის კანდიდატებს პარლამენტში კენჭს სექტემბერში უყრიან.

შესაბამისი განცხადება ბიუროს სხდომაზე დავით უსუფაშვილმა გააკეთა.

პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატები – ნონა თოდუა, თამარ ლალიაშვილი და ლევან ბოძაშვილი დეპუტატებს გააცნო.

– შესაბამისად, პრეზიდენტი სარგებლობს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით და უზენაეს სასამართლოში სამ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელზეც ჩვენ რამდენიმე თვის წინ არავინ გავამწესეთ და მხარი არ დავუჭირეთ წარმოდგენილ კანდიდატებს, ხელახლა წარმოადგინა. 3 კანდიდატიდან 2 ქალბატონი, თამარ ლალიაშვილი და ნონა თოდუა ხელახლა არის წარმოდგენილი, ხოლო ბატონი ლევან ბოძაშვილი კი, პირველად იქნა წარმოდგენილი, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტს საკითხის მომზადება დაავალა.

მისივე თქმით, პარლამენტის პოლიტიკურ ჯგუფებს შეუძლიათ შეხვდნენ პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატებს.

უსუფაშვილის განცხადებით, კანდიდატებს პლენარულ სხდომაზე კენჭს სექტემბერში უყრიან.

– რაც შეეხება ვადებს, კარგი იქნება, მზად იყოს, პლენარული სხდომებისთვის, რომელიც სექტემბრის დასაწყისისთვის გაიმართება. ამისთვის დროც არის, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე აქვე აღნიშნავს, რომ რიგგარეშე სხდომების ჩატარების თაობაზე მასთან არანაირი შეტყობინება არ შესულა და სხდომა სექტემბრამდე არ გაიმართება, თუ ამის აუცილებლობა არ იქნება.

– 7 სექტემბრამდე პარლამენტის სხდომა მოსალოდნელი არ არის, თუ არ გვაიძულა რაიმე საგანგებო გარემოებამ, – განაცხადა უსუფაშვილმა.

**მედიანიუსი**

## ასტროპროგნოზი
### 21 ივლისისთვის



**ვერძი** – ძველი პრობლემების მოსაგვარებლად ახალ მეთოდებს მიმართეთ. მიენდეთ ინტუიციას. **კურო** – წარსულის ნეგატიური ზეგავლენისგან მალე გათავისუფლდებით. ახალი ნაცნობობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას არ უჩივით. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. მიზანს იოლად მიაღწევთ. **კირჩხიბი** – დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია და მიხვდებით, ვინ არის თქვენი მტერი და ვინ – მოყვარე. **ლომი** – ცდუნებას არ აჰყვეთ. სავაჭროდ წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსურ სფეროში წარმატება თქვენს შორსმჭვრეტელობასა და წინდახედულობაზეა დამოკიდებული. **ქალწული** – საყვარელ ადამიანებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ, უნდა დამშვიდდეთ და სულიერი წონასწორობა მოიპოვოთ. **სასწორი** – კარგი დღეა საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისათვის. წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ გარშემომყოფების აზრს გაითვალისწინებთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით, ფულს იოლად ნუ დახარჯავთ, საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს, უმჯობესია, სახლში დარჩეთ. **მშვილდოსანი** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, ჯანმრთელობაც ხელს გიწყობთ. მშვენიერი დღე გაქვთ წინ. **თხის რქა** – მთელი ძალების კონცენტრაცია მოახდინეთ, რათა დასახულ მიზანს მიაღწიოთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **მერწყული** – მოსალოდნელია პრობლემები პირად ცხოვრებაში. კონფლიქტი ახლობელ ადამიანთან დროებითია. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თევზები** – ქალებისთვის კარგი პერიოდია მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე შეინიშნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 2. კუთხე საქართველოში; 3. შვედი კინორეჟისორი; 4. გაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 8. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 9. შენობის ზოგიერთი საყრდენი ქალის ფიგურით; 11. ღვინის შემრჩევი კლიენტთათვის მაღალი კლასის რესტორნებში; 12. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 14. ბრიტანული არაყი; 16. პატარა პროზაული ნაწარმოები; 17. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. ფილიპინების დედაქალაქი; 21. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 5. შვეიცარიის ძველი ლათინური სახელწოდება; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 7. ფსონების ამკრეფი ტოტალიზატორში; 10. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 13. ლითონდამამუშავებელ ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 15. მეხსიერების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა; 18. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი; 20. აჭარული საქორწილო სანახაობითი წარმოდგენა; 22. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 23. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 24. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მიოპია; 2. მესიჯი; 3. თაკვერი; 4. სისტოლა; 5. ჰოოპუნა; 7. პანკისი; 11. არიკი; 12. ფაუსტი; 13. ველვეტი; 14. მუსკატი; 15. ზარაფი; 17. ალუპკა; 19. ბაშო.

**თარაზულად**: 5. ჰაჯიბეი; 6. ბაზალტი; 8. ჯუნო; 9. სენტო; 10. ურნალი; 11. ალჩუ; 13. ვირჯინია; 14. მღილი; 16. დაისი; 18. ლავრა; 20. ტორშერი; 21. ფხაკაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. შატილი; 2. გრაფიკა; 3. კელასური; 4. ორთაჭალა; 8. კალმასობა; 9. პერიკარდი; 11. გეიმერი; 12. დოლი; 14. ანსა; 16. ნარმანია; 17. ბელკანტო; 19. ნარიტა; 21. კუკნა.

**თარაზულად**: 5. სერვანტი; 6. დაიმლერი; 7. უფლისციხე; 10. სუნამო; 13. ქართლი; 15. ილუმენი; 18. შამონი; 20. ნადალი; 22. მირანგულა; 23. დისკანტი; 24. ანდეზიტი.

# როგორ შევინახოთ კვერცხი



კვერცხის კარგად შენახვა გვეხმარება ბაქტერიების გავრცელების თავიდან აცილებაში.

შეინახეთ კვერცხი გრილ, მშრალ ადგილას, საუკეთესო ადგილია მაცივარი. კვერცხი უნდა ინახებოდეს 20 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე. სამზარეულოების უმრავლესობაში ასეთი ადგილი მაცივარია.

შეინახეთ კვერცხი სხვა საკვებისგან განცალკევებულად.

შეჭამეთ კვერცხის შემცველი საკვები მისი დამზადებიდან მოკლე დროის განმავლობაში, თუ მაშინვე ჭამას არ აპირებთ, შეგიძლიათ ის ცივ ადგილას 2 დღის განმავლობაში შეინახოთ.

კარგად მოხარშული კვერცხი მაცივარში 2-3 დღეზე მეტ ხანს არ შეინახოთ.

ბაქტერიები შეიძლება ადვილად გავრცელდეს კვერცხიდან სხვა საკვებზე, ადამიანის ხელებზე ან სამზარეულოს რაიმე ნაწილზე. ბაქტერიები შეიძლება კვერცხის ქერქის ზედაპირზეც იყოს და თვითონ კვერცხის შემადგენლობაშიც, ამიტომ მათი შენახვა და მომზადება ყურადღებას მოითხოვს.

ყოველთვის დაიბანეთ და გაიშრეთ ხელები კვერცხის შეხების შემდეგ.

კვერცხის დამუშავების შემდეგ თბილი, საპნიანი წყლით გარეცხეთ თეფშები, დანები და სხვა გამოყენებული ნივთები.

არ გამოიყენოთ კვერცხი დაზიანებული ქერქით, რადგან შესაძლოა მასში ჭუჭყს ან ბაქტერიას შეეღწია.

კვერცხის შენახვის ვადა (დადებიდან ვარგისიანობის ვადის გასვლამდე) 28 დღით განისაზღვრება. კვეცხის ჭამა უსაფრთხოა მასზე აღნიშნული ვარგისიანობის თარიღიდან 2-3 დღის შემდეგაც, თუ ჩვენ მას კარგად მოვამზადებთ და გულიც და ცილაც მომზადდება მათ გამაგრებამდე, ან თუ ისინი გამოიყენება საკვებში, სადაც სრულიად მომზადდება, მაგალითად ნამცხვარში.

კვერცხის მთლიანად გამაგრებამდე მომზადება ყველანაირ ბაქტერიას მოკლავს, მათ შორის სალმონელას. ხალხმა, რომელიც „რისკის ქვეშ" მყოფ ჯგუფს მიეკუთვნება, მხოლოდ კარგად მომზადებული კვერცხი უნდა ჭამოს.

# რა უნდა მოვიმოქმედოთ ალკოჰოლით მოწამვლისას



ალკოჰოლით მოწამვლა ხდება, როდესაც ადამიანი სვამს ტოქსიკური რაოდენობის ალკოჰოლს.

ალკოჰოლით მოწამვლა სახლში დამზადებული ალკოჰოლის შემცველი პროდუქტის მიღებითაც შეიძლება მოხდეს.

მოწამვლას თან ახლავს დაბნეულობა, ღებინება (ან გულისრევის შეგრძნება), კრუნჩხვები (შეტევები), შენელებული სუნთქვა (რვაზე ნაკლები ამოსუნთქვა წუთში), ცივი, წებოვანი, ფერმკრთალი, მოლურჯო ფერის კანი, რომელიც სხეულის დაბალი ტემპერატურით (ჰიპოთერმია) არის გამოწვეული.

მძიმე შემთხვევებში, ალკოჰოლით მოწამვლამ შეიძლება გონების დაკარგვა, კომა და სიკვდილი გამოიწვიოს.

თუ ეჭვობთ ალკოჰოლით მოწამვლას, აუცილებლად დარეკეთ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება. არასდროს მისცეთ ასეთ პიროვნებას დაძინების საშუალება.

ალკოჰოლის დონე შესაძლებელია აგრძელებდეს მატებას, ამიტომ შესაძლებელია, რომ სიპტომები მოულოდნელად ბევრად უფრო დამძიმდეს.

ყოველთვის, როცა ალკოჰოლს იღებთ, ღვიძლი სისხლიდან ალკოჰოლის გაფილტვრას იწყებს. ალკოჰოლი სხეულში სწრაფად შეიწოვება (ბევრად სწრაფად ვიდრე საკვები), თუმცა ორგანიზმს საათში მხოლოდ ერთი ერთეულის გადამუშავება შეუძლია.

იმ შემთხვევაში, თუ დიდი რაოდენობით ალკოჰოლს დროის მცირე მონაკვეთში მიიღებთ, მაგალითად, საღამოს წვეულებაზე, თქვენს ორგანიზმს მისი სრულად დამუშავების დრო არ ექნება.

ალკოჰოლის ძალიან დიდი დოზა აზიანებს იმ ნერვებს, რომლებიც ავტომატურ ქმედებებს აკონტროლებენ, როგორიცაა სუნთქვა, გულისცემა, ღებინების რეფლექსი (რაც იცავს ადამიანს დახრჩობისგან, გაგუდვისგან). ალკოჰოლის გადაჭარბებულმა მოხმარებამ შეიძლება შეანელოს ან საერთოდ შეწყვიტოს ეს ფუნქციები, რამაც შედეგად შეიძლება სუნთქვის შეწყვეტა და უგონო მდგომარეობა გამოიწვიოს.

რეკომენდირებული მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს კვირაში 14 ერთეულს და ასევე თუ კვირაში სვამთ ამ რაოდენობას, ეცადეთ ეს 14 ერთეული გადაანაწილოთ სულ მცირე 3 დღეზე მაინც.

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოსის, დამსახურებული გამომგონებლის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, შპს „მეცნიერების" დირექტორის, ბატონი

**ჯემალ კვირიკაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# როგორ უნდა ვიკვებოთ, რომ არ გავსუქდეთ



რაციონალური კვება, ან როგორც მას ხშირად უწოდებენ ჯანსაღი კვება, ან ჯანმრთელი დიეტა, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია თქვენი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და ასევე ზოგადად იმისთვის რომ თავი კარგად იგრძნოთ.

მიიღეთ კალორიების ის რაოდენობა, რაც თქვენი აქტიურობისთვისაა შესაფერისი, ანუ მიიღეთ ის რაოდენობა რისი დახარჯვაც, დაწვაც შეგიძლიათ. თუ თქვენ ჭამთ ან სვამთ საკმარისზე მეტი რაოდენობით, ეს ჭარბი ენერგია გამოიწვევს წონის მომატებას, ხოლო თუ თქვენ მიიღებთ იმაზე ნაკლებს, რასაც ხარჯავთ ყოველდღიურად, ეს გამოიწვევს თქვენი წონის დაკლებას.

საშუალოდ ზრდასრულ მამაკაცს ყოველდღიურად სჭირდება 2.500 კალორია (10.500 კილოჯოული), ხოლო ზრდასრულ ქალს – 2.000 კილოკალორია (8.400 კილოჯოული).

უმეტესობა ზრდასრული ხალხისა იღებს (იკვებება) უფრო მეტ კალორიებს, ვიდრე მათ სჭირდებათ და შეუძლიათ დაწვან, შესაბამისად, აუცილებელია მიღებული კალორიების რაოდენობის შემცირება.

მიიღეთ სხვადასხვა ტიპის და კატეგორიის საკვები, ანუ ფართო არჩევანი საკვებისა, რომ თქვენმა ორგანიზმმა მიიღოს საკვები ნივთიერებების და მინერალების აუცილებელი რაოდენობა.

* * *

გადახედეთ სწორი კვების თეფშს, რაც დაგეხმარებათ შეარჩიოთ ხუთი ძირითადი კატეგორიის, ჯგუფის საჭმელის სწორი ბალანსი. სწორი კვების თეფში გაჩვენებთ რა რაოდენობის, რომელი კატეგორიის, ჯგუფის, რა საჭმელი უნდა მიირთვათ, რომ შეინარჩუნოთ ჯანსაღი კვების დიეტა.

კვების ძირითად საფუძველს უნდა შეადგენდეს სახამებლიანი საკვები.

სახამებლიანი საკვები უნდა შეადგენდეს თქვენი კვების რაციონის დაახლოებით ერთმესამედ ნაწილს. სახამებლიანი საკვების ჯგუფი შედგება ისეთი ტიპის საჭმელებისგან, რომლებიც შედგება, ან შეიცავს კარტოფილს, პურს, ბრინჯს, მაკარონს და ბურღულეულს.

უმჯობესია, მიირთვათ მთლიანი პროდუქტით დამზადებული საკვები, როგორიცაა კარტოფილი თავის კანიანად, გაუცრელი ფქვილისგან დამზადებული პური (გაუცრელ ფქვილში მოისაზრება არა პირველი ხარისხის ფქვილი, რომელიც გამოყვანილია ხორბლის შიგთავსისგან, არამედ ერთიანად დაფქვილი ხორბლის ან ჭვავის ფქვილი, რომელიც შეიცავს ხორბლის, ჭვავის კანსაც, ე.წ. ცეხვილი ფქვილი), ყავისფერი ბრინჯი და ა.შ. ასეთი ტიპის საკვების მიღება დაგეხმარებათ მიიღოთ საკმარისი რაოდენობით ბოჭკოვანი ნივთიერებები და ასევე უფრო დიდი ხნით იგრძნოთ თავი დანაყრებულად.

არსებობს გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ სახამებლიანი საკვები ასუქებს, მაგრამ ერთი და იგივე მასის მიხედვით ამ კატეგორიის საკვებს აქვს ორჯერ ნაკლები კალორია, ვიდრე ცხიმებს, შესაბამისად, ეს მითი არ შეესაბამება რეალობას.

* * *

ყოველდღიურად მიიღოთ ხილის და ბოსტნეულის მინიმუმ ხუთი ულუფა. ეს არც ისე ძნელია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ერთი ჭიქა 100%-იანი ხილის წვენი (შაქრის გარეშე) ითვლება ერთ ულუფად და მომზადებული, საკვებში შემავალი ბოსტნეულიც ასევე შედის სათვალავში. ასევე შესაძლებელია, დაამატოთ ერთი ბანანი თქვენი დილის საუზმეს, ან რომელიმე ჩირის ნაჭრები და ესეც გაზრდის ხილის მიღების წილს თქვენს რაციონში.

* * *

თევზი ძალიან კარგი წყაროა ცილების მისაღებად და ასევე შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს და მინერალებს. დაისახეთ მიზნად, რომ მიიღოთ მინიმუმ ორი ულუფა თევზი კვირის განმავლობაში, რომლიდანაც ერთი ულუფა იქნება ცხიმიანი თევზი.

ცხიმიანი თევზი დიდი რაოდენობით შეიცავს ე.წ. ომეგა-3 ცხიმებს, რაც ამცირებს გულის დაავადებების რისკს. თევზი შესაძლოა შეირჩეს ნებისმიერი სახის, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ხშირად კონსერვირებული და შებოლილი თევზი შეიცავს დიდი რაოდენობით მარილს, რაც არ არის სასარგებლო. ცხიმიანი თევზების კატეგორიაში შედის თევზები, როგორიცაა: ორაგული (სალმონი),



სკუმბრია, კალმახი, ქაშაყი, სარდინები, ახალი და უმარილო თინუსი (ტუნა) და მცირე ზომის სარდინები, ხოლო უცხიმო თევზთა ჯგუფში შედიან: სვია (კამბალა), ვირთევზა, ხეკი, კონსერვირებული თინუსი (ტუნა) და სხვა უცხიმო თევზები. გასათვალისწინებელია, რომ ვინც თევზს ხშირად და რეგულარულად მიირთმევს, სჯობს მიირთვას რაც შეიძლება სხვადასხვა ტიპის და კატეგორიის თევზი.

* * *

აუცილებლად გვჭირდება გარკვეული რაოდენობის ცხიმების მიღება ყოველდღიურად, მაგრამ აუცილებლად საყურადღებოა იმ ცხიმების რაოდენობა და ტიპი, რასაც მივირთმევთ. ცხიმები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად: ნაჯერ და უჯერ ცხიმებად. ნაჯერი ცხიმების მოჭარბებულად მიღება იწვევს სისხლში ქოლესტერინის შემცველობის ზრდას, რას საბოლოოდ ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს.

ნაჯერი ცხიმები გვხვდება ცხოველურ პროდუქტებში და მთგან დამზადებულ საკვებში, კერძოდ ყველში, ძეხვეულში, არაჟანში, კარაქში, ცხოველურ ქონებში და ა.შ. ეცადეთ შეამციროთ ასეთი ცხიმების მიღების რაოდენობა და მათ მაგიერ მიიღეთ უჯერი ცხიმები, როგორიცაა მცენარეული ცხიმები, თევზის ცხიმი და ავოკადოს ზეთი.

ჯანსაღი რაციონისთვის სჯობს მოიხმაროთ მცენარეული ცხიმი, შემცირებული ცხიმიანობის სპრედი, კარაქის ნაცვლად და ესეც აუცილებლად მცირე რაოდენობით. როდესაც არჩევთ ხორცს სადილისთვის, ან მიირთმევთ გამზადებულს, ეცადეთ აარჩიოთ მჭლე ნაჭრები და მოაცილეთ ხილვადი ქონის ნაწილები.

* * *

შაქრიანი საჭმელები და სასმელები, ალკოჰოლური სასმელების ჩათვლით, უმეტესწილად მაღალი კალორიულობით გამოირჩევა და შესაბამისად, იწვევს წონის მატებას.

შეამცირეთ შაქრიანი, გაზირებული სასმელების, ალკოჰოლის, ნამცხვრების და ტკბილეულის მიღება, რომლებიც შეიცავენ დამატებულ შაქარს, ეს სწორედ ის კატეგორიის შაქარია რომელიც უნდა შევამციროთ და არა ნატურალური შაქრისა, რომელიც გვხვდება ხილში, რძეში და ა.შ.

100 გრამ პროდუქტში 22.5გ შაქარზე მეტი შემცველობა ითვლება, რომ პროდუქტი არის შაქრის მაღალი შემცველობით.

* * *

დაახლოებით სამი მეოთხედი იმ მარილის რაოდენობისა, რომელსაც ვიღებთ ყოველდღიურად უკვე დამატებულია იმ საკვებში, რომელსაც ვყიდულობთ, როგორებიცაა საუზმის ბურღულეული, პური, სოუსები, სუპები და ა.შ. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თქვენ დამატებით აყრით თუ არა მარილს თქვენს საჭმელს, შესაძლებელია, მაინც დიდი რაოდენობით იღებდეთ მას.

მარილის დიდი რაოდენობით მიღება იწვევს არტერიული წნევის ზრდას, ხოლო მაღალწნევიან ხალხში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკები ბევრად მაღალია. ყურადღება მიაქციეთ საკვების შემადგენლობას, როდესაც ყიდულობთ პროდუქტებს. 100 გრამ პროდუქტზე 1.5 გრამზე მეტი მარილის შემცველობა ნიშნავს, რომ პროდუქტი არის მარილის მაღალი შემცველობით.

რეკომენდირებულია, რომ 11 წელზე დიდი მოზარდებისა და ზრდასრულებისათვის ყოველდღიური მაქსიმალური დოზა არ უნდა აღემატებოდეს 6 გრამ მარილს. ხოლო 11 წელზე მცირე ასაკის ბავშვებისთვის ეს რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა.

* * *

საერთო ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ჯანმრთელი წონის (ჯანსაღი წონის) შენარჩუნება, რის მიღწევაშიც ყველაზე მნიშვნელოვანი როლი უჭირავს სწორ და რაციონალურ, ბალანსირებულ კვებას და დიეტას. ხშირ შემთხვევაში ჭარბწონიანობა და სიმსუქნე არის ისეთი დაავადებების მიზეზი, როგორებიცაა მეორე ტიპის დიაბეტი, გარკვეული ტიპის სიმსივნეები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, თუმცა მეტისმეტი სიგამხდრეც არ არის კარგი და შესაძლოა, ცუდად იმოქმედოს ჯანმრთელობაზე.

* * *

ყველაზე სასარგებლო სასმელები მაინც წყალი, რძე და ხილის წვენებია. შეამცირეთ შაქრის შემცველი და გაზირებული სასმელების მიღება, რომლებიც გამოირჩევა დამატებული შაქრის მაღალი შემცველობით და არის მაღალკალორიული და ასევე მავნებელია კბილებისთვისაც. გაითვალისწინეთ, რომ თბილ ამინდში, ან მაღალი ფიზიკური აქიურობის დროს მისაღები წყლის რაოდენობაც უნდა გაიზარდოს.

* * *

არსებობს მოსაზრება, რომ საუზმის გამოტოვებით იკლებთ წონაში. ეს აზრი საფუძველს მოკლებული და მცდარია.

დადასტურებულია, რომ პირიქით საუზმის მიღება ხალხს ეხმარება წონის გაკონტროლებაში. ჯანსაღი საუზმე რაციონალური და ჯანსაღი კვების აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაწილია და ასევე ეხმარება ორგანიზმს მიიღოს დამატებითი ვიტამინები და მინერალები.



# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 21 ივლისი

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" (გ/ჩვ) 14.30 ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" 15.00 დ/ფ "თოფ – გიარი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოება**" 19.00 "კომუნიკატორი" 20.50 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 21.30 ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" 22.30 "ოლიმპიური დღიური" 23.00 მხ/ფ "**მკურნალი ადამსი**" (რ.უილიამსი) 01.10 მხ/ფ "**საზღვარი**" (ჰ.კეიტელი)

08.00, 16.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 დ/ფ "კოდის კონცხი" 11.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" 12.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 13.00 "თოფ გიარი" 14.00 მხ/ფ "**ქრისთი, დაბრუნება ქათერ ბეფში**" 16.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 17.30 "გააგრელე საქართველოს ისტორია" 18.30 ტ/სერ. "**სიცრუე**" 19.30 "ტელებლოგი" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 00.30 მხ/ფ "**სიყვარულის ტესტი**" 02.05 მხ/ფ "**იდეალური მამაკაცი**"

05.00 სერ. "**დახურული სკოლა**" 06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**ჟუმონგი**" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "**იუმას მატარებელი**" 02.35 მხ/ფ "**სიყვარულისა და დანების ისტორია**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**ცხოვრების გზები**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 22.00 სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 23.00 პროფილი 00.00 P.S. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები" - მეამბოხეები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 0.40 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00, 2.30 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 სერ. "**მსახიობი მამა**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 21.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 23.00 მხ/ფ "**საუკეთესო გეგმები**"

06.15 სჯანი 06.40 პატერიკი 06.50 დეკორატიული ფლორა "ანთურიუმ ანდრე" 07.05 ქართული ალბომი 07.50 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**ქეთო და კოტე**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ან/ფ 16.50 დ/ფ "ქრისტეს უკანასკნელი სახვეველი" 17.35 ჩვენი ფონდი "ქრისტიანობა და განმანათლებლობა" II ნაწ. 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეექვსე ნეტარება 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები "თენგიზ აბულაძე" 20.40 ძილი ნებისა "ჯადოსნური კვერცხი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ლექციები მეფუტკრეობაზე 22.20 ჩვენი საგანძური "ოქონის ვედრების სპილოს ძვლის ხატი" 22.40 დ/ფ " 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დიდ ხარ შენ უფალო-კორინთოს ეკლესიის მდგომარეობა 00.25 ისტორიის დღიური 01.25 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ქალთა ექიმი**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 1.00 სერ. "**გულს ვერ უბრ-ანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.55, 19.05 სერ. "**ზოგადი თერაპია**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ქალბატონი**" 21.40 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.35 სერ. "**სტანიცა**" 23.30 სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

21 ივლისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3459 |
| ევრო | 2.5939 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0891 |
| 100 რუსული რუბლი | 3.7198 |

**ამინდის პროგნოზი 21 ივლისისთვის**








19 ივლისიდან

ჰენრიხ სენკევიჩი

ჯვაროსნები

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

22 ივლისიდან

ჰენრიხ სენკევიჩი

ჯვაროსნები

ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## ნიკოლას გაიტანი მადრიდის ატლეტიკოს ღირსებას დაიცავს



ბენფიკას არგენტინელი ნახევარმცველი ნიკოლას გაიტანი კარიერას მადრიდის ატლეტიკოში გააგრძელებს.

ამის შესახებ ინფორმაცია თვითონ ფეხბურთელმა ოფიციალურად დაადასტურა.

გაიტანის თქმით მას ადრეც სურდა ატლეტიკოში თამაში და მისი ოცნება ასრულდა.

– სიმეონეს გუნდი ძალიან მომწონს, რადგან ისინი ტაქტიკურად გამართულად თამაშობენ და აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე აკეთებენ. ვფიქრობ ადაპტაცია არ გამიჭირდება, რადგან ფიზიკურად კარგ ფორმაში ვიმყოფები, – განაცხადა ნიკოლას გაიტანმა.

გაიტანი ბოლო წლებში ბენფიკას ერთ-ერთი ლიდერი იყო და მას ბევრი სხვა გუნდიც აკვირდებოდა, თუმცა ბოლოს ყველას მადრიდის ატლეტიკომ აჯობა.

## პოგბას მანჩესტერ იუნაიტედში თამაში სურს



იუვენტუსის ფრანგ ნახევარმცველს პოლ პოგბას მანჩესტერ იუნაიტედში თამაში სურს. ამის შესახებ ინფორმაციას იტალიური პრესა ავრცელებს.

პოგბამ იუვენტუსის ხელმძღვანელობას თხოვნითაც მიმართა, რომ მას უფლება მისცეს, კარიერა მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელოს.

იუვენტუსი პოგბას გაშვებას არ აპირებდა, მაგრამ თუ ფეხბურთელს წასვლა სურს, იუვე მის სურვილს წინ ვერ აღუდგება.

მანჩესტერელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 100 მილიონ ევროზე მეტი გადაიხადონ, ხოლო მათი მწვრთნელი ჟოზე მაურინიო პოგბას ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად მიიჩნევს.

იუვენტუსი პოგბაში 125 მილიონ ევროს ითხოვს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი...



ნიუ-იორკში ცათამბჯენის მახლობლად მამაკაცი დგას და სიგარეტს ეწევა. მასთან ჟურნალისტი მივა და ეუბნება:

– გამარჯობათ, მე „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი ვარ. შეიძლება რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ?

– მკითხეთ, პრინციპში არსად მეჩქარება.

– აი თქვენ ეწევით. მომიტევეთ და რამდენი ხანია ეწევით?

– ახლა 43 წლის ვარ, სიგარეტის მოწევა 16 წლის ასაკიდან დავიწყე.

– თუ საიდუმლო არ არის, რომელ სიგარეტს ეწევით?

– რა საიდუმლო, „მარლბოროს“.

– და ბოლო შეკითხვა, დღეში რამდენ სიგარეტს ეწევით?

– ასე, კოლოფნახევარს, ორ კოლოფს.

ჟურნალისტმა კალკულატორზე რაღაც დაიანგარიშა და შემდეგ ისევ მიმართა მამაკაცს:

– იცით, თქვენ სიგარეტს რომ არ ეწეოდეთ, მასზე დაზოგილი ფულით აი ამ ცათამბჯენის ყიდვას შეძლებდით.

– სერიოზულად?

– დიახ.

– და თქვენ თავად ეწევით?

– არა.

– და მერე, საკუთარი ცათამბჯენი გაქვთ?

– არა.

– აი, მე კი სიგარეტსაც ვეწევი და ეს ცათამბჯენიც ჩემია...

•••

ქალი და კაცი ზღვის პირას სხედან და მზის ჩასვლას უყურებენ. ამ დროს ქალი ეუბნება:

– ძვირფასო, ხომ არ დავქორწინდეთ?

– დავქორწინდეთ.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ქალი ისევ ეკითხება:

– საყვარელო, რატომ არაფერს ამბობ?

– უკვე ისედაც ზედმეტი წამოვროშე.

•••

სამსახურში მუშაობის დამწყები ანკეტას ავსებს. შეკითხვას:

– ხართ თუ არა ნასამართლევი?

კაცი პასუხობს:

– არა.

წინა შეკითხვაზე გამომდინარე დადებითი პასუხიდან შემდეგი შეკითხვაა:

– რატომ?

– ჯერ ვერ მოახერხეს ჩემი დაჭერა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


20 ივლისიდან

ბექა ქურხული

# სამოთხიდან გაქცეულები

სამოთხიდან გაქცეულები ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის მხატვრული რეტროსპექტივაა.

სამი მეგობრის ოდისეა სულისშემძვრელი ამბებით, სევდიანი, ზოგჯერ ტრაგიკული შინაარსით, იმ ეპოქის ფონზე იშლება, რომელიც ბოლომდე ჯერაც ვერ წაიკითხა და გაიაზრა ჩვენმა საზოგადოებამ.




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## ნიკოლოზ ბასილაშვილი კიცბუელში მეოთხედფინალში გავიდა



ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა კიცბუელში მიმდინარე ტურნირში კიდევ ერთი მეტოქე დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა.

ლუკას როსოლის შემდეგ ნიკას წინააღმდეგ ჰოლანდიელი იგორ სისლინგი თამაშობდა, რომლის დასამარცხებლადაც ბასილაშვილს სამი სეტი დასჭირდა.

ქართველი ჩოგბურთელის მომავალი მეტოქე ცნობილია. მეოთხედფინალში ბასილაშვილი ჩეხ ადამ პავლასეკს დაუპირისპირდება, რომელიც რეიტინგში 116-ე პოზიციას იკავებს.

აღსანიშნავია, რომ ნიკა თავის კარიერაში პირველად გავიდა ატპ ტურნირის მეოთხედფინალში და მას კარგი შანსი აქვს, ნახევარფინალამდეც მივიდეს.

## მორგანმა ლესტერთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი



ლესტერის კაპიტანმა, ცენტრალურმა მცველმა ვეს მორგანმა ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელიც 2019 წლის ჩათვლით იმოქმედებს.

მორგანი ლესტერში 2012 წელს გადავიდა და მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. კლაუდიო რანიერიმ მორგანზე თქვა, რომ მისი სახით ლესტერს ძალიან ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს და სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ ის გუნდიდან არ წავიდა.

თვითონ მორგანმა ლესტერის შარშანდელ ტრიუმფს გაუსვა ხაზი და თქვა, რომ წელს მისი კლუბი ისევ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

შეგახსენებთ, რომ ლესტერი გასულ სეზონში სენსაციურად ინგლისის ჩემპიონი გახდა.

## ნეგრედო მიდლსბროში გადავიდა



ვალენსიის ფორვარდი ალვარო ნეგრედო მინიმუმ ერთ სეზონს ინგლისურ მიდლსბროში გაატარებს.

ნეგრედო ინგლისურ კლუბში იჯარის სახით გადავიდა. მიდლსბროს მთავარი მწვრთნელი ესპანელი აიტორ კარანკაა, რომელმაც თავის გუნდში ბევრი თანამემამულე მიიწვია. მაგალითად, ბარსელონას ყოფილი მეკარე ვიქტორ ვალდესი, რომელიც მომავალ სეზონში მიდლსბროს ღირსებას დაიცავს.

რაც შეეხება ნეგრედოს, ის ერთი პერიოდი მანჩესტერ სიტიში თამაშობდა, მაგრამ თავის დამკვიდრება ვერ შეძლო, რის შემდეგაც ვალენსიაში დაბრუნდა. ამჯერად ესპანელ თავდამსხმელს ნისლიან ალბიონზე მეორე შანსი ეძლევა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სისხლნაკლებობა; 2. ყურძნის კრეფა; 3. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 4. ატმოსფეროში მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 5. რომის, არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 7. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 11. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 12. თავისავე ქონში ჩახრაკული საქონლის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 13. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 14. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 15. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 19. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში.

**თარაზულად:** 5. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 6. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 9. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 10. ფრანგი კომიკოსი; 11. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 13. ორ ენაზე შედგენილი ტექსტი; 14. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი საქართველოში; 16. ზღვის დიდი ათფეხა კიბორჩხალა; 18. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის; 20. საგნის ნიმუში, ტრაფარეტი; 21. ესპანეთის დედაქალაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

